პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი.
5
მარტი
1936 წ.
№ 53 (4512)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

## დღეს ნომერშია:

- ამხანაგ სტალინის საუბარი ამერიკის საგაზეთო გაერთიანების „სკრიპს—ჰოვარდ ნიუს პეიპერსის“ წარმომადგენელ ბატონ როი ჰოვარდთან 1936 წლის 1 მარტს.
- საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებანი.
- სახელოვანი 15 წელი („პრავდის“ მოწინავე).
- ამხ. გ. ი. პეტროვსკის სიტყვა აფხაზეთის ასსრ ცაკის საიუბილეო სესიის სხდომაზე.
- სახალხო ზეიმი აფხაზეთში.
- ა. ქავთარაძე—სტახანოვურად ვაწარმოოთ წინ მეჯაბრეშუმეობა.
- პ. სამსონიძე—სტალინ (ლექსი).
- ანდრე მალრო მოსკოვში.
- საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის პაქტის განხილვა სენატში.
- იაპონიაში მთავრობის კრიზისი გრძელდება.

# ამხანაგ სტალინის საუბარი

## ამერიკის საგაზეთო გაერთიანების „სკრიპს—ჰოვარდ ნიუს პეიპერსის“ წარმომადგენელ ბ-ნ როი ჰოვარდთან 1936 წლის 1 მარტს

**ჰოვარდი:** როგორი იქნება, თქვენის აზრით, ამ ცოტახნის წინათ იაპონიაში მომხდარი ამბების შედეგები შორეული აღმოსავლეთის მდგომარეობისათვის?

**სტალინი:** ჯერჯერობით ძნელია თქმა. საამისოდ ძალიან ცოტა მასალა მოიპოვება. სურათი საკმაოდ ნათელი არ არის.

**ჰოვარდი:** როგორი იქნება საბჭოთა კავშირის პოზიცია იმ შემთხვევაში, თუ იაპონია გაბედავს სერიოზულ თავდასხმას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაზე?

**სტალინი:** იმ შემთხვევაში, თუ იაპონია გაბედავს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაზე თავდასხმას და დაემუქრება მის დამოუკიდებლობას, ჩვენ მოგვიხდება დავეხმაროთ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას. ლიტვინოვის მოადგილემ სტომონიაკოვმა ამ ცოტა ხნის წინათ ეს უკვე განუცხადა იაპონიის ელჩს მოსკოვში და მიუთითა იმ მტკიცე მეგობრულ ურთიერთობაზე, რომელიც საბჭოთა კავშირს აქვს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან 1921 წლიდან. ჩვენ ისევე დავეხმარებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, როგორც დავეხმარეთ მას 1921 წელს.

**ჰოვარდი:** გამოიწვევს თუ არა, ამრიგად, იაპონიის ცდა, ხელთ იგდოს ულან-ბატორი, საბჭოთა კავშირის პოზიტიურ აქციას?

**სტალინი:** დიახ, გამოიწვევს.

**ჰოვარდი:** გაავითარეს თუ არა იაპონელებმა უკანასკნელ რამდენიმე დღეში რაიმე ისეთი აქტივობა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრის რაიონში, რომელიც (აქტივობა) საბჭოთა კავშირში მიჩნეული იქნებოდა აგრესიულ აქტივობად?

**სტალინი:** მგონია, იაპონელები განაგრძობენ ჯარების თავმოყრას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებთან, მაგრამ საზღვარზე შეტაკებათა რაიმე ახალი ცდები ჯერჯერობით არა ჩანს.

**ჰოვარდი:** საბჭოთა კავშირი ფიქრობს, რომ გერმანიასა და პოლონეთს მის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული განზრახვები აქვთ და ამზადებენ სამხედრო თანამშრომლობას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ამ განზრახვების რეალიზაციას. პოლონეთი კი აცხადებს, რომ მას არ სურს ნება დართოს უცხოეთის რომელიმე ჯარს — გამოიყენოს მისი ტერიტორია, როგორც ბაზა ოპერაციებისათვის მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ. როგორ აქვთ სსრ კავშირში წარმოდგენილი გერმანიის თავდასხმა? რა პოზიციებიდან, რა მიმართულებით შეუძლიათ ამოქმედონ გერმანიის ჯარებს?

**სტალინი:** ისტორია გვეუბნება, რომ როდესაც რომელიმე სახელმწიფოს სურს იომოს მეორე, თუგინდ არა მეზობელ სახელმწიფოსთან, იგი იწყებს საზღვრების ძებნას, რომლითაც შეიძლებს მიაღწიოს იმ სახელმწიფოს საზღვრამდე, რომელზედაც იგი თავდასხმას აპირებს. აგრესიული სახელმწიფო ჩვეულებრივ პოულობს ასეთ საზღვრებს. მათ იგი პოულობს ან ძალის შემწეობით, როგორც ეს მოხდა 1914 წელს, როდესაც გერმანია ბელგიაში შეიჭრა, რათა თავს დასხმოდა საფრანგეთს, ან იგი „კრედიტად“ იღებს ასეთ საზღვარს, როგორც ეს გერმანიამ მოიმოქმედა ლატვიის მიმართ, ვთქვათ 1918 წელს, და ცდილობდა ამ გზით ლენინგრადისკენ გაჭრას. მე არ ვიცი, სახელდობრ რომელი საზღვრების გამოყენება შეუძლია გერმანიას თავისი მიზნებისათვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ მისთვის საზღვრის „კრედიტად“ მიცემის მსურველნი შეიძლება გამოჩნდნენ.

**ჰოვარდი:** მთელ მსოფლიოში ომზე ლაპარაკობენ. თუ მართლაც ომი აუცილებელია, მაშინ, მისტერ სტალინ, როდის იფეთქებს იგი, თქვენის აზრით?

**სტალინი:** ამის წინასწარმეტყველება შეუძლებელია. ომმა შეიძლება მოულოდნელად იფეთქოს. ამჟამად ომებს არ აცხადებენ. მათ პირდაპირ იწყებენ. მაგრამ, მეორე მხრივ, მე ვფიქრობ, რომ მშვიდობიანობის მეგობართა პოზიციები მტკიცდება. მშვიდობიანობის მეგობრებს შეუძლიათ აშკარად იმუშაონ, ისინი ემყარებიან საზოგადოებრივი აზრის ძალას, მათს განკარგულებაშია ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა, მაგალითად, ერთა ლიგა. ეს პლუსია მშვიდობიანობის მეგობართათვის. მათი ძალა ის არის, რომ მათი მოქმედება ომის წინააღმდეგ ემყარება ხალხის ფართო მასების ნებისყოფას. მთელ მსოფლიოში არ მოიპოვება ხალხი, რომელსაც ომი სუროდეს. რაც შეეხება მშვიდობიანობის მტრებს, ისინი იძულებულნი არიან ფარულად იმუშაონ. ეს მინუსია მშვიდობიანობის მტრებისათვის. თუმცა, შეუძლებელი არ არის, რომ სწორედ ამის გამო მათ შეიძლება გაბედონ სამხედრო ავანტიურა, როგორც სასოწარკვეთილების აქტი.

მშვიდობიანობის მეგობართა საქმის ერთერთ უახლეს წარმატებას წარმოადგენს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთდახმარების პაქტის რატიფიკაცია საფრანგეთის დეპუტატთა პალატის მიერ. მშვიდობიანობის მტრებისათვის ეს პაქტი განსაზღვრულ დაბრკოლებას წარმოადგენს.

**ჰოვარდი:** თუ ომი იფეთქებს, ქვეყნიერების რომელ ნაწილში შეუძლია მას უფრო ადრე იფეთქოს? ყველაზე მეტად სად დაგროვდა ომის შავი ღრუბლები—აღმოსავლეთში თუ დასავლეთში?

**სტალინი:** ჩემის აზრით, არსებობს ომის საფრთხის ორი კერა. პირველი კერა იმყოფება შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიის ზონაში. მე მხედველობაში მაქვს იაპონიის სამხედრო პირთა მრავალი განცხადებანი, რომლებიც შეიცავენ მუქარას სხვა სახელმწიფოების მიმართ. მეორე კერა იმყოფება გერმანიის ზონაში. ძნელია იმის თქმა, თუ რომელი კერა წარმოადგენს უფრო მეტ საფრთხეს, მაგრამ ისინი ორივენი არსებობენ და მოქმედებენ. ომის საფრთხის ამ ორ ძირითად კერასთან შედარებით იტალია-აბისინიის ომი ეპიზოდს წარმოადგენს. ჯერჯერობით ყველაზე მეტ აქტივობას იჩენს საფრთხის შორეული აღმოსავლეთის კერა. თუმცა, შესაძლებელია, რომ ამ საფრთხის ცენტრმა ადგილი გადაინაცვლოს ევროპაში. ამას მოწმობს თუნდაც ბ-ნ ჰიტლერის ინტერვიუ, რომელიც მან ამას წინათ ერთ ფრანგულ გაზეთს მისცა. ამ ინტერვიუში ჰიტლერი თითქოს ცდილობს მშვიდობისმოყვარულ რამეებზე ილაპარაკოს, მაგრამ ამ თავის „მშვიდობისმოყვარეობას“ იგი იმდენად უხვად აჭრელებს მუქარით საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მიმართ, რომ „მშვიდობისმოყვარეობისაგან“ არაფერი რჩება. როგორც ხედავთ, მაშინაც კი, როდესაც ბ-ნ ჰიტლერს სურს მშვიდობიანობაზე ილაპარაკოს, იგი მუქარას ვერ ელევა. ეს სიმპტომია.

**ჰოვარდი:** რა არის თქვენის აზრით, თანამედროვე ომის საფრთხის ძირითადი მიზეზი?

**სტალინი:** კაპიტალიზმი.

**ჰოვარდი:** კაპიტალიზმის სახელდობრ რა გამოვლინებანი?

**სტალინი:** მისი იმპერიალისტური მტაცებლური გამოვლინებანი.

თქვენ გახსოვთ, როგორ წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომი. იგი წარმოიშვა მსოფლიოს ხელახალი განაწილების სურვილის გამო. ახლა იგივე სარჩული არსებობს. არიან კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებიც მოტყუებულად სთვლიან თავს გავლენის სფეროების, ტერიტორიების, ნედლეულის წყაროების, ბაზრებისა და სხვათა წინანდელი ხელახალი განაწილების დროს და რომლებსაც სურთ ისევ ხელახლა გაანაწილონ ისინი თავის სასარგებლოდ. კაპიტალიზმი თავის იმპერიალისტურ ფაზაში ისეთი სისტემაა, რომელსაც ომი მიაჩნია საერთაშორისო წინააღმდეგობათა გადაჭრის კანონიერ მეთოდად, კანონიერ მეთოდად თუ იურიდიულად არა, არსებითად მაინც.

**ჰოვარდი:** ხომ არ გგონიათ თქვენ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც შეიძლება არსებობდეს საფუძვლიანი შიში, რომ საბჭოთა კავშირმა არ გადაწყვიტოს და ძალით თავს არ მოახვიოს სხვა ხალხებს თავისი პოლიტიკური თეორიები?

**სტალინი:** ასეთი შიშისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ საბჭოთა ადამიანებს უნდათ თვითონ, და ისიც ძალით, შესცვალონ გარშემო სახელმწიფოთა სახე, მაშინ თქვენ სასტიკად სცდებით. საბჭოთა ადამიანებს, რასაკვირველია, უნდათ, რომ გარშემო სახელმწიფოების სახე შეიცვალოს, მაგრამ ეს თვით გარშემო სახელმწიფოების საქმეა. მე ვერ ვხედავ, რა საშიშროებას შეიძლება ამჩნევდნენ გარშემო სახელმწიფოები საბჭოთა ადამიანების იდეებში, თუ ეს სახელმწიფოები მართლაც მაგრად გრძნობენ თავს.

**ჰოვარდი:** ნიშნავს თუ არა ეს თქვენი განცხადება, რომ საბჭოთა კავშირმა რამდენადმე მაინც ხელი აიღო თავის გეგმებსა და განზრახვებზე—მსოფლიო რევოლუციის მოხდენაზე?

**სტალინი:** ასეთი გეგმები და განზრახვები ჩვენ არასოდეს არ გვქონია.

**ჰოვარდი:** მე მგონია, მისტერ სტალინ, რომ მთელ მსოფლიოში ხანგრძლივი დროის მანძილზე სხვანაირი შთაბეჭდილება იქმნებოდა.

**სტალინი:** ეს გაუგებრობის ნაყოფს წარმოადგენს.

**ჰოვარდი:** ტრაგიკულ გაუგებრობას?

**სტალინი:** არა, კომიკურს. ანდა, იქნება, ტრაგიკომიკურს.

საქმე ის არის, ჩვენ მარქსისტებს მიგვაჩნია, რომ რევოლუცია სხვა ქვეყნებშიაც მოხდება, მაგრამ იგი მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას შესაძლებლად ან საჭიროდ ჩასთვლიან ამ ქვეყნების რევოლუციონერები. რევოლუციის ექსპორტი — ეს უაზრობაა. თვითეული ქვეყანა, თუ იგი ამას მოინდომებს, თვითონ მოახდენს თავის რევოლუციას, ხოლო თუ არ მოინდომებს, მაშინ რევოლუცია არ მოხდება. აი, მაგალითად, ჩვენმა ქვეყანამ მოინდომა მოეხდინა რევოლუცია და მოახდინა იგი, და ახლა ჩვენ ვაშენებთ ახალ უკლასო საზოგადოებას. მაგრამ იმის მტკიცება, თითქოს ჩვენ გვსურდეს მოვახდინოთ რევოლუცია სხვა ქვეყნებში, მათს ცხოვრებაში ჩარევით, ეს ნიშნავს ილაპარაკო ის, რაც არ არის და რასაც ჩვენ არასოდეს არ ვქადაგებდით.

**ჰოვარდი:** სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების დროს პრეზიდენტმა რუზველტმა და ბ-ნმა ლიტვინოვმა ერთმანეთს მიმართეს თანაბარი შინაარსის ნოტებით პროპაგანდის საკითხზე. პრეზიდენტ რუზველტისადმი ბ-ნ ლიტვინოვის წერილის მე-4 პუნქტში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა მთავრობა კისრულობს ვალდებულებას „არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე რაიმე ორგანიზაციების ან ჯგუფების შექმნა ან ყოფნა და ღებულობდეს თავის ტერიტორიაზე გამაფრთხილებელ ზომებს რაიმე ორგანიზაციების ან ჯგუფების ანდა რაიმე ორგანიზაციების ან ჯგუფების წარმომადგენლების ან თანამდებობის პირთა საქმიანობის წინააღმდეგ, რომლებიც მთლიანად შეერთებული შტატების, ან მათი რომელიმე ნაწილის, მათი ტერიტორიების ან სამფლობელოების მიმართ მიზნად ისახავენ პოლიტიკური ან სოციალური წყობილების დამხობას ან დამხობის მომზადებას ან ძალით შეცვლას“. მე გთხოვთ, მისტერ სტალინ, აგვიხსნათ, რატომ მოაწერა ბ-ნმა ლიტვინოვმა ხელი ამ წერილს, თუ ამ პუნქტით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შეუთავსებელია საბჭოთა კავშირის სურვილებთან ან მისი ძალაუფლების გარეშეა?

**სტალინი:** თქვენ მიერ ციტირებული პუნქტის ვალდებულებათა შესრულება ჩვენს ძალაუფლებაშია, ჩვენ ამ ვალდებულებებს ვასრულებდით და შემდგომაც შევასრულებთ. ჩვენი კონსტიტუციით პოლიტიკურ ემიგრანტებს უფლება აქვთ იცხოვრონ ჩვენს ტერიტორიაზე. ჩვენ მათ ვანიჭებთ თავშესაფრის უფლებას სწორედ ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებიც აძლევენ თავშესაფრის უფლებას პოლიტიკურ ემიგრანტებს. სავსებით ცხადია, რომ როცა ლიტვინოვი ამ წერილს ხელს აწერდა, იგი გამოდიოდა იქიდან, რომ იმ ვალდებულებებს, რომლებსაც იგი შეიცავს, საურთიერთო ხასიათი აქვთ. სთვლით თუ არა თქვენ, მისტერ ჰოვარდ, რომ რუზველტ-ლიტვინოვის შეთანხმებას ეწინააღმდეგება, თუ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე იმყოფებიან რუსი თეთრგვარდიელი ემიგრანტები, რომლებიც ეწევიან პროპაგანდას საბჭოების წინააღმდეგ და კაპიტალიზმის სასარგებლოდ, სარგებლობენ ამერიკელ მოქალაქეთა მატერიალური დახმარებით და ზოგჯერ წარმოადგენენ ტერორისტთა ჯგუფებს? ცხადია, ეს ემიგრანტები სარგებლობენ თავშესაფრის უფლებით, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებშიც არსებობს. რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ არასოდეს ვერ მოვითმენდით ჩვენს ტერიტორიაზე ვერც ერთ ტერორისტს, ვის წინააღმდეგაც არ უნდა განიზრახოს მან თავის ბოროტმოქმედებანი. როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებულ შტატებში თავშესაფრის უფლებას უფრო ფართოდ განმარტავენ, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში. რა ვუყოთ, ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ.

თქვენ იქნებ ამაზე მიპასუხებთ, რომ ჩვენ თანავუგრძნობთ ამ პოლიტიკურ ემიგრანტებს, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე მოდიან, მაგრამ განა არ არიან ისეთი ამერიკელი მოქალაქენი, რომლებიც თეთრგვარდიელ ემიგრანტებს თანაუგრძნობენ, ხოლო ეს ემიგრანტები ეწევიან პროპაგანდას კაპიტალიზმის სასარგებლოდ და საბჭოების წინააღმდეგ? მაშ რაზეა ლაპარაკი? ლაპარაკია იმაზე, რომ ასეთ პირებს არ ეხმარებოდნენ, მათს საქმიანობას არ აფინანსებდნენ. ლაპარაკია იმაზე, რომ ორივე ქვეყნის თანამდებობის პირნი არ ერეოდნენ მეორე ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში. ჩვენი თანამდებობის პირნი პირნათლად ასრულებენ ამ ვალდებულებას. თუ რომელიმე მათგანმა რამე დააშავა, დაე გვითხრან.

რომ ძალიან შორს წავიდეთ და მოვითხოვოთ ყველა თეთრგვარდიელი ემიგრანტის გაძევება ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ეს იქნებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და საბჭოთა კავშირშიც აღიარებული თავშესაფრის უფლების ხელყოფა. აქ უნდა ვცნოთ განსაზღვრული გონიერული ზღვარი მოთხოვნებისა და კონტრმოთხოვნებისათვის. ლიტვინოვმა ხელი მოაწერა თავის წერილს პრეზიდენტ რუზველტისადმი არა როგორც კერძო პირმა, არამედ როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელმა, სწორედ ისევე, როგორც მოიქცა პრეზიდენტი რუზველტიც. მათი შეთანხმება არის ორი სახელმწიფოს შეთანხმება. ლიტვინოვსაც და პრეზიდენტ რუზველტსაც, როგორც ორი სახელმწიფოს წარმომადგენლებს, როცა ისინი ხელს აწერდნენ ამ შეთანხმებას, მხედველობაში ჰქონდათ თავისი სახელმწიფოს აგენტთა საქმიანობა, რომლებიც არ უნდა ერეოდნენ და არ ჩაერევიან მეორე მხარის შინაურ საქმეებში. ორივე ქვეყანაში აღიარებული თავშესაფრის უფლება არ შეიძლებოდა ამ შეთანხმებით შელახულიყო. ამ ფარგლებში უნდა განვმარტავდეთ რუზველტ-ლიტვინოვის შეთანხმებას, როგორც ორი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეთანხმებას.

**ჰოვარდი:** მაგრამ განა ამერიკელი დელეგატები ბროუდერი და დარსი კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესზე, რომელიც შარშან მოსკოვში შედგა, არ მოუწოდებდნენ ამერიკის მთავრობის ძალდატანებითი დამხობისაკენ?

**სტალინი:** უნდა ვთქვა, რომ ამხ. ბროუდერისა და დარსის სიტყვები არ მახსოვს, ისიც კი არ მახსოვს, რაზე ლაპარაკობდნენ ისინი. შესაძლოა, რომ ისინი რაღაცა ამის მსგავსს ლაპარაკობდნენ. მაგრამ ამერიკის კომუნისტურ პარტიას საბჭოთა ადამიანები კი არ ჰქმნიდნენ. იგი ამერიკელებმა შექმნეს. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ლეგალურად არსებობს, იგი აყენებს თავის კანდიდატებს არჩევნებში, თვით პრეზიდენტის არჩევნებშიც. თუ ამხ. ბროუდერი და დარსი ერთხელ გამოვიდნენ მოსკოვში სიტყვით, შინ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მათ მსგავსი და, უეჭველია, უფრო გაბედული სიტყვები ასობით წარმოუთქვამთ. ამერიკელ კომუნისტებს ხომ შესაძლებლობა აქვთ თავისუფლად იქადაგონ თავისი იდეები.

სრულიად არასწორი იქნებოდა საბჭოთა მთავრობა მივიჩნიოთ პასუხისმგებლად ამერიკელი კომუნისტების საქმიანობისათვის.

**ჰოვარდი:** დიახ. მაგრამ ამჟამად ლაპარაკია ამერიკელი კომუნისტების იმ საქმიანობაზე, რომელიც მოხდა საბჭოთა ტერიტორიაზე, რითაც დაირღვა რუზველტ-ლიტვინოვის შეთანხმების მე-4 პუნქტი.

**სტალინი:** რას წარმოადგენს კომუნისტური პარტიის საქმიანობა, რაში შეიძლება იგი გამოიხატოს? ეს საქმიანობა ჩვეულებრივ მდგომარეობს მუშათა მასების ორგანიზაციაში, მიტინგების, დემონსტრაციების, გაფიცვების და სხვათა ორგანიზაციაში. სავსებით გასაგებია, რომ ყოველივე ეს ამერიკელ კომუნისტებს არ შეუძლიათ ჩაიდინონ საბჭოთა ტერიტორიაზე. ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ამერიკელი მუშები არ არიან.

**ჰოვარდი:** შემიძლია თუ არა თქვენი განცხადება ისე გავიგო, რომ შესაძლებელი იყოს გამოინახოს ურთიერთ ვალდებულებათა ისეთი განმარტება, რომლის დროსაც ჩვენი ქვეყნების კეთილი ურთიერთობა დაცული და განგრძობილი იქნებოდა?

**სტალინი:** დიახ, უეჭველად.

**ჰოვარდი:** თქვენ აღიარებთ რომ კომუნისტური საზოგადოება საბჭოთა კავშირში ჯერ არ არის აშენებული, აშენებულია სახელმწიფოებრივი სოციალიზმი. ფაშიზმი იტალიაში და ნაციონალ-სოციალიზმი გერმანიაში ამტკიცებენ, რომ მათ მსგავს შედეგებს მიაღწიეს. ყველა დასახელებული სახელმწიფოსათვის საერთო თვისებას ხომ არ წარმოადგენს პიროვნების თავისუფლების დარღვევა და სხვა შეზღუდვანი სახელმწიფო ინტერესებისათვის?

**სტალინი:** გამოთქმა „სახელმწიფოებრივი სოციალიზმი“ არ არის ზუსტი. ამ ტერმინით ბევრი გულისხმობს ისეთ წყობილებას, რომლის დროსაც სიმდიდრის განსაზღვრული ნაწილი, ზოგჯერ საკმაოდ საგრძნობი, გადადის სახელმწიფოს ხელში ან მისი კონტროლის ქვეშ, მაშინ როცა დიდ უმეტეს შემთხვევაში ქარხნების, ფაბრიკების მიწის საკუთრება კერძო პირთა ხელში რჩება. ასე ესმის ბევრს „სახელმწიფო სოციალიზმი“. ზოგჯერ ეს ტერმინი გულისხმობს ისეთ წყობილებას, რომლის დროსაც კაპიტალისტური სახელმწიფო ომის მომზადებისა ან ომის წარმოების ინტერესებისათვის, თავის ხარჯზე იღებს კერძო საწარმოთა ერთგვარ რაოდენობას. საზოგადოება, რომელიც ჩვენ ავაშენეთ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეწოდოს „სახელმწიფოებრივი სოციალიზმი“. ჩვენი საბჭოთა საზოგადოება არის სოციალისტური, იმიტომ რომ ფაბრიკების, ქარხნების, მიწის, ბანკების, სატრანსპორტო საშუალებათა კერძო საკუთრება ჩვენში გაუქმებულია და შეცვლილია საზოგადოებრივი საკუთრებით. ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ჩვენ შევქმენით, შეიძლება ეწოდოს საზოგადოების საბჭოთა, სოციალისტური, ჯერ კიდევ არა მთლად აშენებული, მაგრამ თავისი ფესვებით სოციალისტური ორგანიზაცია. ამ საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრება: სახელმწიფოებრივი, ე. ი. საყოველთაო-სახალხო, აგრეთვე კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრება. არც იტალიის ფაშიზმს, არც გერმანიის ნაციონალ — „სოციალიზმს“ არაფერი აქვთ საერთო ასეთ საზოგადოებასთან. უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ფაბრიკებისა და ქარხნების, მიწის, ბანკების, ტრანსპორტისა და სხვათა კერძო საკუთრება იქ ხელუხლებელი დარჩა და ამიტომ კაპიტალიზმი გერმანიასა და იტალიაში მთლიანად ძალაში რჩება.

დიახ, თქვენ მართალი ხართ, კომუნისტური საზოგადოება ჩვენ ჯერ კიდევ არ აგვიშენებია. ასეთი საზოგადოების აშენება არც ისე ადვილია. სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების განსხვავება თქვენ, ალბათ, იცით. სოციალისტურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არის ერთგვარი ქონებრივი უთანასწორობა. მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში უკვე აღარ არის უმუშევრობა, უკვე აღარ არის ექსპლოატაცია, უკვე აღარ არის ეროვნებათა ჩაგვრა. სოციალისტურ საზოგადოებაში ყველა ვალდებულია იშრომოს, თუმცა თავის შრომაში ჯერ კიდევ ღებულობს არა თავის მოთხოვნილებათა შესაბამისად, არამედ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად. ამიტომ ჯერ კიდევ არსებობს ხელფასი, ამასთან არათანასწორი, დიფერენცირებული. მხოლოდ მაშინ, როცა მოხერხდება ისეთი წყობილების შექმნა, რომლის დროსაც ადამიანები საზოგადოებისაგან თავის შრომაში ღებულობენ არა შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, არამედ თავის მოთხოვნილებათა შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ კომუნისტური საზოგადოება ავაშენეთ.

თქვენ ლაპარაკობთ, რომ ჩვენი სოციალისტური საზოგადოება რომ აგვეშენებინა, ჩვენ მსხვერპლად გავიღეთ პირადი თავისუფლება და გაჭირვებას განვიცდიდით. თქვენს კითხვაში ის აზრი გამოსჭვივის, რომ სოციალისტური საზოგადოება პირად თავისუფლებას უარყოფს. ეს მართალი არ არის. რა თქმა უნდა, რაიმე ახალი რომ ააშენო, საჭირო ხდება ეკონომია გასწიო, საშუალებანი დააგროვო, შენი მოთხოვნილებანი დროებით შეამცირო, სხვებს დაესესხო. თუ გინდა ახალი სახლი ააშენო, ფული უნდა აგროვო, შენს მოთხოვნილებებს დროებით ჰკვეცავდე, თორემ არა და სახლი შეიძლება ვერც ააშენო. ეს მით უფრო სამართლიანია, როცა ლაპარაკია იმაზე, რომ ააშენო ადამიანთა მთელი ახალი საზოგადოება. გვიხდებოდა დროებით შეგვეკვეცა ზოგიერთი მოთხოვნილება, დაგვეგროვებინა სათანადო საშუალებანი, დაგვეძაბა ძალღონე. ჩვენ სწორედ ასე მოვიქეცით და სოციალისტური საზოგადოება ავაშენეთ.

მაგრამ ეს საზოგადოება ჩვენ ავაშენეთ არა პირადი თავისუფლების შესალახავად, არამედ იმისათვის, რომ ადამიანის პიროვნება ნამდვილად თავისუფლად გრძნობდეს თავს. ჩვენ იგი ავაშენეთ ნამდვილი პირადი თავისუფლების, უბრჭყალებო თავისუფლების გულისათვის. ჩემთვის ძნელია წარმოვიდგინო, რა „პირადი თავისუფლება“ შეიძლება ჰქონდეს უმუშევარს, რომელიც მშიერი დადის და თავისი შრომა ვერ გამოუყენებია. ნამდვილი თავისუფლება მხოლოდ იქ არის, სადაც მოსპობილია ექსპლოატაცია, სადაც არ არის ერთი ადამიანის ჩაგვრა მეორის მიერ, სადაც არ არის უმუშევრობა და მათხოვრობა, სადაც კაცი არ ცახცახებს იმისათვის, რომ ხვალ შეიძლება სამუშაო, ბინა, პური დაჰკარგოს. მხოლოდ ასეთ საზოგადოებაში შეიძლება ნამდვილი, და არა ქაღალდზე დაწერილი, პირადი და ყოველგვარი სხვა თავისუფლება.

**ჰოვარდი:** სთვლით თუ არა თქვენ, რომ შესაძლებელია ამერიკული დემოკრატიისა და საბჭოთა სისტემის პარალელური განვითარების შეთავსება?

**სტალინი:** ამერიკულ დემოკრატიას და საბჭოთა სისტემას შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა და შეჯიბრება. მაგრამ ერთს არ შეუძლია მეორეში განვითარდეს. საბჭოთა სისტემა არ გადაიზრდება ამერიკულ დემოკრატიაში და პირიქით. ჩვენ შეგვიძლია მშვიდობიანი თანაარსებობა, თუ ყოველგვარი წვრილმანის გამო ერთმანეთს არ ჩავაცივდებით.

**ჰოვარდი:** საბჭოთა კავშირში მუშავდება ახალი კონსტიტუცია, რომელიც ახალ საარჩევნო სისტემას ითვალისწინებს. რა ზომამდე შეუძლია ამ ახალ სისტემას შესცვალოს მდგომარეობა საბჭოთა კავშირში, რამდენადაც არჩევნებში წინანდებურად მხოლოდ ერთი პარტია გამოვა?

**სტალინი:** ჩვენს ახალ კონსტიტუციას, ალბათ, ამა წლის დამლევს მივიღებთ. კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისია მუშაობს და მან თავისი მუშაობა მალე უნდა დაამთავროს. როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, ახალი კონსტიტუციით არჩევნები საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული იქნება. თქვენ გაფიქრებთ, რომ ამ არჩევნებში მხოლოდ ერთი პარტია გამოვა. თქვენ ვერ ხედავთ, თუ რა საარჩევნო ბრძოლა შეიძლება იყოს ასეთ პირობებში. ალბათ, საარჩევნო სიებს არჩევნებში წამოაყენებს არა მარტო კომუნისტური პარტია, არამედ ყოველგვარი საზოგადოებრივი უპარტიო ორგანიზაციებიც. ასეთები კი ჩვენში ასობითაა. ჩვენში არ არსებობენ ურთიერთის დამპირისპირებელი პარტიები, სწორედ ისევე, როგორც ჩვენში არ არსებობენ ერთიმეორის დამპირისპირებელი კაპიტალისტთა კლასი და კაპიტალისტთა მიერ ექსპლოატირებული მუშათა კლასი. ჩვენი საზოგადოება შესდგება მხოლოდ-მხოლოდ ქალაქისა და სოფლის თავისუფალი მშრომელებისაგან — მუშებისაგან, გლეხებისაგან, ინტელიგენციისაგან. თვითეულ ამ ფენას შეიძლება ჰქონდეს თავის სპეციალური ინტერესები და ასახოს ისინი არსებული მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებით. მაგრამ რაკი კლასები არ არსებობენ, რაკი კლასებს შუა ზღვარი იშლება, რაკი სოციალისტური საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის რჩება მხოლოდ ერთგვარი, მაგრამ არა ძირითადი განსხვავება, არ შეიძლება იყოს მასაზრდოებელი ნიადაგი ერთმანეთს შორის მებრძოლ პარტიათა შექმნისათვის. სადაც არ არსებობს რამდენიმე კლასი, არ შეიძლება იყოს რამდენიმე პარტია, ვინაიდან პარტია არის კლასის ნაწილი.

ნაციონალ — „სოციალიზმის“ დროსაც ერთი პარტია არსებობს. მაგრამ ამ ფაშისტური ერთპარტიული სისტემიდან არაფერი გამოვა. საქმე ის არის, რომ გერმანიაში დარჩა კაპიტალიზმი და დარჩნენ კლასები, კლასობრივი ბრძოლა, რომელიც სულერთია გარეთ გადმოხეთქავს, მათ შორის იმ პარტიათა ბრძოლის დარგშიც, რომლებიც მოწინააღმდეგე კლასებს წარმოადგენენ, ისე როგორც ამოხეთქა, ვთქვათ, ესპანეთში. იტალიაშიც არსებობს მხოლოდ ერთი-ფაშისტური პარტია, მაგრამ იმავე მიზეზების გამო იტალიაშიც აქედან არაფერი გამოვა.

რატომ იქნება ჩვენი არჩევნები საყოველთაო? იმიტომ, რომ ყველა მოქალაქეს, სასამართლოს განაჩენით საარჩევნო უფლება-აყრილთა გამოკლებით, უფლება ექნება აირჩიოს და არჩეულ იქნას.

რატომ იქნება ჩვენი არჩევნები თანასწორი? იმიტომ, რომ არც ქონებრივი განსხვავება, (რომელიც ჯერ კიდევ ნაწილობრივ არსებობს), არც რასობრივი და ნაციონალური კუთვნილება არავის არ მიანიჭებს არავითარ პრივილეგიას და არავის მოუტანს ზიანს. ქალები ისარგებლებენ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით მამაკაცებთან თანაბარი უფლებით. ჩვენი არჩევნები ნამდვილი თანასწორი იქნება.

რატომ ფარული? იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა საბჭოთა ადამიანებს მივცეთ სრული თავისუფლება—ხმა მისცენ იმათ, ვისი არჩევაც უნდათ, ვისაც ისინი ანდობენ თავიანთი ინტერესების უზრუნველყოფას.

რატომ პირდაპირი? იმიტომ, რომ ადგილებზე ჩატარებული უშუალო არჩევნები ყველა საწარმომადგენლო დაწესებულებაში, თვით უზენაეს ორგანოებშიც, უკეთ უზრუნველყოფენ ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს.

თქვენ გგონიათ, რომ საარჩევნო ბრძოლა არ იქნება. მაგრამ იგი იქნება, და მე წინასწარ ვხედავ ფრიად გაცხოველებულ საარჩევნო ბრძოლას. ჩვენში ცოტა როდია ისეთი დაწესებულება, რომელიც ცუდად მუშაობს. ხდება ხოლმე, რომ ხელისუფლების ესა თუ ის ადგილობრივი ორგანო ვერ აკმაყოფილებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა [illegible]

ჩაიწერა კ. უმანსკიმ.

# სახელოვანი 15 წლისთავი

თხუთმეტი წლის წინათ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ ლენინისა და სტალინისათვის გაგზავნილი რადიოგრამით დაიწყო აფხაზეთის ხალხმა თავისი ისტორიის ახალი ფურცელი. მთელს წარსულს ებჯინება აფხაზეთის ხალხის ისტორია და საუკუნოებრივი ტანჯვით არის აღნიშნული მისი გზა. ბუნებით კურთხეული ქვეყანა თითქოს დიდი სავაჭრო გზების კვანძი იყო და იმთავითვე კოლონიზაციის, ძარცვა-გლეჯისა და მონათვაჭრობის ობიექტად გახდა. ვისი ხმალი არ მოხვედრია აფხაზის თავს, ვისი ჯაჭვები არ დახდებია გატაცებულ ტყვე-მონების ფეხებს, ვისი მათრახი არ უწნევია აფხაზების ზურგს!

ხალხთა უზარმაზარ ციხეში, როგორიც იყო მეფის რუსეთი, აფხაზეთი წამების თითქმის ყველაზე საშინელ კამერას წარმოადგენდა. არაერთხელ მიუციათ ცეცხლისათვის მისი სოფლები, სისხლით და რკინით აოხრებდნენ მის ხალხს. მძიმე გადასახადებით და გამოსალებით ახრჩობდნენ მისი ეკონომიური აყვავების უმდიდრეს ბუნებრივ შესაძლებლობებს. მაგრამ აფხაზეთის ხალხი გულში ატარებდა მჩაგვრელებისადმი სიძულვილის უქრობელ ალს. მე-19 საუკუნეში ეს ალი არაერთხელ აბრიალებულა გლეხთა აჯანყებების ხანძრად. XX საუკუნის დამდეგს კი ბოლშევიზმის უძლიერესმა ქარმა აფხაზეთამდეც მიიტანა ლენინ-სტალინის მოძღვრება და 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას აფხაზეთში ხელმძღვანელად მისცა ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე. დიდ პროლეტარულ რევოლუციას საბჭოთა კავშირში ერთბაშად — არ გაუმარჯვნია აფხაზეთში; ამ მრავალტანჯულმა ქვეყანამ განვლო აგრეთვე მენშევიკური ბატონობა და მხოლოდ 1921 წლის გაზაფხულზე დაიკეცა აფხაზეთის ხალხის ტანჯვის მრავალსაუკუნოებრივი წიგნი.

დღეს აფხაზეთი ორდენოსანი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკაა. ისტორიულად მცირე ვადებში განვლეს აფხაზეთის მშრომელებმა განსაცვიფრებელი გზა ღატაკი ქვეყნის ღატაკი ხალხიდან—მთელს საქართველოსთან ერთად აყვავებულ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკამდე.

აფხაზეთის უდიდესი პოტენციური სიმდიდრენი, რომელნიც წინათ მისი ხალხის უბედურებას წარმოადგენდნენ, ახლა გახდნენ და ხდებიან აფხაზეთის და მთელი საბჭოთა კავშირის მილიონ მშრომელთა სიხარულის წყაროდ. აფხაზეთის ნოყიერი მიწა უხვად აძლევს ახლა კოლმეურნეობებს ციტრუსოვანთა ოქროსფერ ნაყოფსაც, ასობით ტონა ჩაისაც, ათასობით ტონა თამბაქოსაც, გერანსაც, ტუნგოსაც, კაუჩუკსაც და სხვა კულტურებს, რომლებიც პირველად ბოლშევიკურმა ხელმა მოიყვანა. მრეწველობა შეიქმნა აფხაზეთში და ნადირის მთის ბილიკები შეცვალა ათასი კილომეტრობით კარგმა გზებმა, სიღატაკე შეცვალა შეძლებულობამ, უმეცრება — წერა-კითხვის მცოდნეობამ, ლიტერატურამ დედაენაზე, ეროვნული შუღლი—ხალხთა ძმობამ ამ მრავალეროვნებიან რესპუბლიკაში. ხოლო ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი ცვლილება აფხაზეთის ადამიანებში მოხდა. მონური, უმადლო შრომა უბედურება იყო, და მით უფრო ბრწყინვალეა ნამდვილი სოციალისტური შრომის ნიმუშები, რომლებიც მრავლდებიან, იმ შრომისა, რომელიც პატიოსნების, სიმამაცის და გმირობის საქმეს წარმოადგენს. თამბაქოს და ჩაის პლანტაციებზე აფხაზეთის კოლმეურნეები გმირული სტახანოვური მუშაობის მაგალითებს იძლევიან. ტყვარჩელის მაღაროებში, სადაც რამდენიმე წლის წინათ აფხაზს მიწისქვეშა სამუშაოზე არ უშვებდა ცრუმორწმუნეობის კლანჭები, ახლა ათობით აფხაზნი შრომის ნაყოფიერების რეკორდებს ამყარებენ.

და უკვე ახალი სიტყვები და ახალი სიმღერები ისმის აფხაზთა სოფელში. აფხაზეთის მუსიკალურმა და მგზნებარე შემოქმედების ხალხმა წარსულში მრავალი სევდიანი მელოდია შექმნა. და მძიმე ცხოვრებას აშორებდა მშრომელს გულუბრყვილო აფხაზური ზღაპარი—ოცნება სასწაულებრივი მოგზაურობისა და მდიდრული ცხოვრების შესახებ. დღეს კი, არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ ღრმადმოხუცი აფხაზიც მღერიან უკვე იმ სასწაულებზე, რომლებიც ახლა მათივე საკუთარი ხელით ხდება,—საკოლმეურნეო შრომის იმ სასწაულებზე, რომლებმაც მოიტანეს და მოაქვთ შეძლებული ცხოვრება. საბჭოთა მიწის სასწაულებზე—მიწისა, რომელზედაც თითქოს სტალინის ხელის ერთი აქნევით ჩნდებიან სკოლა-სასახლეები, უმაღლესი სასწავლებლები, ელექტროსადგურები და ფაბრიკები. და აფხაზეთის ხალხურ შემოქმედებაში—გაგრიდან ოჩამჩირემდე, ბიჭვინთიდან ოქუმამდე, ზღვის სანაპირო სოფლებში და კამკამა მდინარე ბზიბის ნაპირებზე—სულ უფრო და უფრო ხშირად და ხმამაღლა ისმის თქმულება და სიმღერა იმაზე, ვისი ნებისყოფით და მოძღვრებით იქნა გამოყვანილი აფხაზეთის ხალხი შეძლებული, ნათელი ცხოვრების გზაზე, თქმულება—სიმღერა ლენინისა და სტალინის შესახებ.

საბჭოთა აფხაზეთის პირველი თხუთმეტი წლისთავი, ამ მოკლე ვადაში მოპოვებული უდიდესი წარმატებანი, საუცხოვო ახალი ადამიანები, რომლებიც ამ წლების განმავლობაში გამოიზარდნენ, — ყველაფერი ეს გვაძლევს სრულ რწმენას, რომ აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხვალინდელი დღე კიდევ უფრო მშვენიერი იქნება, ვიდრე მისი დღევანდელი დღე.

მხურვალე სალამი აფხაზეთის აღორძინებულ ხალხს, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს ახალ, ნათელ ცხოვრებას!

(„პრავდის" მოწინავე, 4 მარტი)

◇ ◇

# სახალხო ზეიმი აფხაზეთში

## ცაკის საიუბილეო სესია

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

**სოხუმი, 3 მარტი.** 3 მარტს სოხუმის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა აფხაზეთის ცაკის საიუბილეო სესია, მიძღვნილი საბჭოთა აფხაზეთის 15 წლისთავისათვის.

თეატრის დარბაზი მორთულია ალისფერი ტილოებით, მისასალმებელი ლოზუნგებით. დიდი **სტალინის** და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა — ამხ. კალინინის, პეტროვსკის, კაგანოვიჩის, მიქოიანის, მახარაძისა და მგალობლიშვილის პორტრეტები ლამაზადაა ჩასმული სუბტროპიკულ მცენარეებსა და ყვავილებში.

დარბაზი მთლად გაჭედილია. აქ არიან აფხაზეთის მთავრობის წევრები, ტყვარჩელის სტახანოველები, ციტრუსების, თამბაქოს და გერანის პლანტაციების სახელოვანი ადამიანები, სტუმრები. ისმის სიმღერა აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა ენაზე.

გაიხსნა ფარდა. სცენაზეა აფხაზეთის ცაკის პრეზიდიუმი. დამსწრენი მქუხარე ოვაციებით ესალმებიან ზეიმზე ჩამოსულ საყვარელ სტუმრებს, საკავშირო ცაკისა და უკრაინის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. გ. პეტროვსკის და ამიერ-კავკასიის ცაკის და საქ. ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს. დარბაზში ისმის ძახილი: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!" „გაუმარჯოს საკავშირო სტაროსტას ამხ. კალინინს!",

„გაუმარჯოს უკრაინის სტაროსტას ამხ. პეტროვსკის!".

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხ. გ. პეტროვსკი, ფ. მახარაძე, ნ. ლაკობა, ბერია, ქუჩულორია და სხვ.

სესიის შესავალი სიტყვით ხსნის აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ნესტორ ლაკობა, რომელიც თავის პირველ სიტყვებს უძღვნის სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს დიდ **სტალინს**.

ქვეყნდება საპატიო პრეზიდიუმის სია. პირველია — ამხანაგი სტალინი, ყველა მონაწილე ფეხზე დგება. იჭექა ტაშმა გაისმის მისასალმებელი ძახილი აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა ენაზე.

სესია მქუხარე ტაშისცემით ირჩევს საპატიო პრეზიდიუმს პოლიტბიუროს წევრების და კანდიდატების, აგრეთვე ამხ. დიმიტროვის, ბერიას და მახარაძის შემადგენლობით.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. ნესტორ ლაკობას, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეეგებნენ. ამხ. ლაკობამ თავის შინაარსიან მოხსენებაში დახასიათა აფხაზეთის შავბნელი წარსული და საამაყო აწმყო, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე ამ რესპუბლიკის აყვავება და განვითარება.

ტრიბუნაზეა გიორგი ივანეს-ძე პეტროვსკი. ის კარგა ხანს ვერ ახერხებს სიტყვის დაწყებას. „ვაშას" და მისალმების ძახილი აფხაზურ, ქართულ და უკრაინულ ენებზე არ აძლევენ მას ამის საშუალებას.

ამხ. პეტროვსკი საკავშირო ცაკის დავალებით მხურვალედ მიესალმება აფხაზეთის ცაკის საიუბილეო სესიას და ორდენოსან საბჭოთა აფხაზეთის მშრომელებს. მან წაიკითხა საკ. ცაკის დადგენილება აფხაზეთის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ და გადასცა ორდენი აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ნ. ლაკობას, მაგრად ჩამოართვა ხელი და გადაჰკოცნა.

ამხ. ლაკობამ ჩაიბარა ორდენი და საპასუხო სიტყვაში დიდი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას უდიდესი ჯილდოსათვის. მან პირობა დადო, რომ აფხაზეთის მშრომელები გაამართლებენ იმ დიდ ნდობას, რომელიც მათ მიენიჭათ და მუდამ მაღლა ეჭირებათ ლენინურ-სტალინური უძლეველი პარტიის დროშა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის, ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ამხ. ლავრენტი ბერიას სახელით საიუბილეო სესიას მიესალმა საქართველოს დედაქალაქის ხელმძღვანელი, ამიერ-კავკასიის ცაკის და საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშისცემით შეხვდნენ. აფხაზეთის მშრომელთ მიესალმნენ აგრეთვე ტფილისის ბოლშევიკთა სახელით ამხ. გობეჩია, საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სახელით პროფ. მაჭავარიანი, საქართველოს ორდენოსანი დივიზიების სახელით: ოჩიგავა და სხვ.

მქუხარე ოვაციებით სესიამ მიიღო აფხაზეთის მშრომელთა წერილი სტალინისადმი.

მქუხარე ოვაციებით დაამტკიცა აგრეთვე სესიამ მისალმების დეპეშები ამხ. მოლოტოვის, კალინინის, ვოროშილოვის, ორჯონიკიძის, კაგანოვიჩის, მიქოიანის, პეტროვსკის, ბერიას, მუსაბეკოვის, მარტიროსიანის, მგალობლიშვილის და მახარაძის სახელზე.

◇ ◇

# ანდრე მალრო მოსკოვში

**მოსკოვი**, 3 მარტი. 3 მარტს მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი ფრანგი მწერალი ანდრე მალრო (ტას).

◇ ◇

# რედაქციისაგან

„კომუნისტის" 10 თებერვლის ნომერში, პირველ გვერდზე, მოთავსებულია დეპეშა პარიზიდან, რომელსაც მიკუთვნილი აქვს სათაური, რომელიც წარმოადგენს უხეშ პოლიტიკურ შეცდომას. დაბეჭდილია: „ჰიტლერის სამშვიდობო პოლიტიკა". უნდა ყოფილიყო: „ჰიტლერის „სამშვიდობო" რწმუნებანი" (სიტყვა სამშვიდობო აღებული უნდა ყოფილიყო ბრჭყალებში).

# დაწყებითი სკოლისათვის საბჭოთა კავშირის ისტორიის ელემენტარული კურსის (მსოფლიო ისტორიის მოკლე ცნობებით) საუკეთესო სახელმძღვანელოზე კონკურსის ორგანიზაციის შესახებ

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ რა ისტორიული მეცნიერების სწავლებას სკოლაში და ისტორიის მარქსისტულ სახელმძღვანელოთა შექმნას, **ადგენენ:**

**1.** გამოცხადდეს კონკურსი დაწყებითი სკოლისათვის საბჭოთა კავშირის ისტორიის ელემენტარული კურსის საუკეთესო სახელმძღვანელოს შედგენისათვის, რომელშიაც შეტანილი იქნება მსოფლიო ისტორიის მოკლე ცნობები.

**2.** საკონკურსოდ წარდგენილ საუკეთესო სახელმძღვანელოების დასაჯილდოვებლად დაწესდეს 4 ჯილდო:

| | |
|---|---|
| პირველი ჯილდო | 100 ათასი მანეთი. |
| მეორე ჯილდო | 75 ათასი მანეთი. |
| მესამე ჯილდო | 50 ათასი მანეთი. |
| მეოთხე ჯილდო | 25 ათასი მანეთი. |

**3.** კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, სრულიად შეუზღუდველად, როგორც ცალკეულ პირებს, ისე კოლექტივებსაც (ავტორთა ჯგუფებს, ინსტიტუტებს და სხვ.)

**4.** საკონკურსოდ სახელმძღვანელოთა წარდგენის ვადა არის 1936 წლის 1 ივლისი.

**5.** სახელმძღვანელოები შეიძლება წარდგენილ იქნას საკონკურსოდ ავტორის ხელმოწერით, ან მის მიერ ამორჩეული დევიზით.

**6.** სახელმძღვანელო ნავარაუდევი უნდა იყოს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასების მოსწავლეებისათვის (მოსწავლეთა 10—12 წლის ასაკი).

**7.** სახელმძღვანელოს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 20 ნაბეჭდ ფურცელს, რომელთაგან 18 ფურცელი იქნება წმინდა ტექსტი და 2 ფურცელი ილუსტრაციები და რუკები.

**8.** სახელმძღვანელოს შედგენის დროს ავტორებმა უნდა იხელმძღვანელონ იმ დებულებებით, რომლებიც მოცემულია: ა) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებებში „სსრ კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ". ბ) „სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტის გამო გაკეთებული შენიშვნებით", რომელსაც ხელს აწერენ ამხანაგები **ი. სტალინი, ა. ჟდანოვი** და **ს. კიროვი** 1934 წლის 8 აგვისტოს და რომლებიც გამოქვეყნებულია 1936 წლის 27 იანვრის „პრავდასა" და „იზვესტიაში" და გ) სტატიებით ამხ. ბუხარინისა (27 იანვრის „იზვესტია"), რადეკისა (27 იანვრის „პრავდა") და ბისტრიანსკისა (1936 წლის 1 თებერვლის „პრავდა").

**9.** სახელმძღვანელოს შედგენის დროს ავტორებმა პირველ რიგში მხედველობაში უნდა ჰქონდეთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებანი, მოცემული 1934 წლის 16 მაისის დადგენილებაში „სსრ კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ", რომ

„მოსწავლეთა მიერ ისტორიის კურსის მტკიცედ შეთვისების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა ისტორიული მოვლენების გადმოცემაში ისე, რომ აუცილებლად განმტკიცდეს მოსწავლეთა მეხსიერებაში მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები ისტორიული მოღვაწენი, ქრონოლოგიური თარიღები", და რომ „მხოლოდ ისტორიის ასეთ კურსს შეუძლია უზრუნველყოს მოსწავლეთათვის საჭირო მისაწვდომობა, თვალსაჩინოება და კონკრეტულობა ისტორიული მასალისა. რადგან მხოლოდ ამ საფუძველზე არის შესაძლებელი, იმ ისტორიულ მოვლენათა სწორი გარჩევა და სწორი განზოგადება, რომლებსაც მიჰყავს მოწაფე ისტორიის მარქსისტული გაგებისაკენ".

**10.** დაწყებითი სკოლისათვის საბჭოთა კავშირის ისტორიის ელემენტარული კურსი მსოფლიო ისტორიის მოკლე ცნობებით—თავისი შინაარსით და თხრობის ხასიათით უნდა ითვალისწინებდეს მე-3 და მე-4 კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებას, რომელთათვისაც დანიშნულია ეს სახელმძღვანელო.

**11.** სახელმძღვანელო უნდა იყოს კონკრეტული და ისტორიული სიმართლის შემცველი. ამასთან ერთად მისი გადმოცემა უნდა იყოს მკვეთრი, საინტერესო, მხატვრული და აღნიშნული ასაკის მოსწავლეთათვის სავსებით მისაწვდომი.

**12.** სახელმძღვანელოს ბოლოში მოთავსებულ უნდა იქნას ძნელ და უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

**13.** საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოთა განსახილველად და ჯილდოების მისანიჭებლად დაინიშნოს ჟიური შემდეგი შემადგენლობით:

ა. ჟდანოვი (თავმჯდომარე),
ქ. ბაუმანი,
ა. ბუბნოვი,
ნ. ბუხარინი,
ვ. ბისტრიანსკი,
პ. გორინი,
ვ. ზატონსკი,
ა. სვანიძე,
ფაიზულა ხოჯაევი.

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**
**ვ. მოლოტოვი**

**საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი—**
**ი. სტალინი**

1936 წლის 3 მარტი.

# 1936 წ. მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

**1.** დამტკიცდეს კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში 1936 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა 1.631.280 ტონის რაოდენობით (მტს-ების სამუშაოთა ნატურ-გადასახდელში ნედლი ბამბის ჩაბარების ჩაუთვლელად), რაც რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში შემდეგნაირად განაწილდეს:

| რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები | კონტრაქტაციის გეგმა | |
|---|---|---|
| | ტონობით | მათ შორის ეგვიპტური ჯიშის |
| უზბეკეთის სსრ | 920.230 | 18.080 |
| თურქმენეთის სსრ | 154.580 | 13.440 |
| ტაჯიკეთის სსრ | 77.850 | 12.550 |
| ყირგიზეთის ასსრ | 50.100 | — |
| ყარაყალპაკის ასსრ | 37.340 | — |
| ყაზახეთის ასსრ | 64.420 | — |
| აზერბეიჯანის სსრ | 166.020 | 27.200 |
| სომხეთის სსრ | 16.900 | — |
| საქართველოს სსრ | 4.190 | — |
| სულ სარწყავ რაიონებში: | 1.491.630 | 71.270 |
| ჩრდილო-კავკასიის მხარე | 48.740 | — |
| აზოვ-შავიზღვის მხარე | 14.350 | — |
| ყირიმის ასსრ | 9.740 | — |
| სტალინგრადის მხარე | 2.000 | — |
| ოდესის ოლქი | 39.320 | — |
| დნეპროპეტროვსკის ოლქი | 25.500 | — |
| სულ ურწყავ რაიონებში: | 139.650 | — |
| მთლად საბჭოთა კავშირში | 1.631.280 | 71.270 |

წინადადება მიეცეთ ბამბის მომყვან რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს და მხარეთა და ოლქთა აღმასკომებს არა უგვიანეს 1936 წლის 5 მარტისა დაიყვანონ ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა რაიონებამდე, ხოლო რაიონული აღმასკომები ვალდებული არიან რაიონებისა, კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დამტკიცებულ თესვის გეგმათა და მოსავლიანობის დავალებათა შესაბამისად დაუწესონ არა უგვიანეს 15 მარტისა თვითეულ კოლმეურნეობას და სოფლის საბჭოებში ერთპიროვნულ მეურნეობებს სახელმწიფოსათვის კონტრაქტაციით ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა.

**2.** ძალაში დარჩეს 1936 წლისათვის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის პირობები, დაწესებული სსრკ-ის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1935 წლის 7 მარტის დადგენილებით „1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ", მათ შორის გამონაკლისის სახით ზეთის, კოპტონის და ლინტერის ბამბის გაცემა შეღავათიან ფასებში ბამბის ჩაბარებისათვის.

**3.** დაწესდეს, რომ ის კოლმეურნეობანი, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა, გეგმის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერ ნედლ ბამბაში ღებულობენ პრემიადანამატს არსებულ დამზადებითი ფასზე.

პრემიების გაცემის დროს იხელმძღვანელონ სსრკ-ის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის 1935 წლის 7 მარტის დადგენილებით „1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ" შემდეგი დამატებებით:

როცა სარწყავ რაიონებში ამერიკული ჯიშების ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა ერთ ჰექტარზე 15 ცენტნერს აღემატება, 15 ცენტნერზე ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერში გაიცეს დანამატი 200 პროცენტის ოდენობით არსებულ დამზადებითი ფასზე, დამოუკიდებლად ბამბის იმ რაოდენობისა, რომელიც დაკონტრაქტებულია ერთ ჰექტარზე კოლმეურნეობაში.

როცა სარწყავ რაიონებში ეგვიპტური ჯიშების ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა ერთ ჰექტარზე 10 ცენტნერს აღემატება, 10 ცენტნერის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერში გაიცეს დანამატი 200 პროცენტის ოდენობით არსებულ დამზადებითი ფასზე, დამოუკიდებლად ბამბის იმ რაოდენობისა, რომელიც დაკონტრაქტებულია ერთ ჰექტარზე კოლმეურნეობაში.

როცა ურწყავ რაიონებში ამერიკული ჯიშების ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა ერთ ჰექტარზე 2, 5 ცენტნერს აღემატება, 2,5 ცენტნერის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერში გაიცეს დანამატი 150 პროცენტის ოდენობით არსებულ დამზადებითი ფასზე, დამოუკიდებლად ბამბის იმ რაოდენობისა, რომელიც დაკონტრაქტებულია ერთ ჰექტარზე კოლმეურნეობაში.

ის კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას უწევენ მტს-ები, დაწესებულ პრემია-დანამატს ღებულობენ ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბამბის მთელი რაოდენობიდან, რომელიც ჩაბარებულია ერთად აღებული კონტრაქტაციის გეგმის და მტს-ების ნატურგადასახდელის გეგმის ზევით.

ი

ბამბის მოსავლიანობისათვის ბრძოლის პრაქტიკაში 1935 წელს და, განსაკუთრებით, „ოცდაათოვანთა" გამოცდილებით გამოაშკარავდა უდიდესი რეზერვები, რომლებიც გააჩნიათ კოლმეურნეობებს ნამდვილად მაღალი მოსავლის მისაღებად და (გამოტოვებულია) გასადიდებლად.

სსრ კ-ის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი ავალებენ ბამბის რაიონთა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, მტს-ების დირექტორებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს სათავეში ჩაუდგნენ „ოცდაათოვანთა" გაშლილ მასობრივ მოძრაობას, უზრუნველყონ მათი მეთოდების ფართოდ გამოყენება და ნამდვილად მიაღწიონ სახელმწიფოსათვის ბამბის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**
**ვ. მოლოტოვი**

**საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი—**
**ი. სტალინი**

1936 წლის 28 თებერვალი.

◇ ◇ ◇

# სტახანოვური დეკადის შედეგები მარგანეცის მრეწველობაში

7—19 თებერვლამდე ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში ჩატარდა სტახანოვური დეკადა. დეკადას უნდა მოეცა კარგი მაჩვენებლები, მაგრამ ასე არ მოხდა. ადგილებზე უძირო ხელმძღვანელობის შედეგად [illegible]. 7-19 თებერვლამდე ამოღებულია 62.990 ტონა მარგანეცი, გეგმის 70,1 პროცენტი. დამზადებულია სასაქონლო პროდუქცია—39.104 ტონა, გეგმის 64,8 პროცენტი. სამეურნეო მუშაკები გეგმების შეუსრულებლობას ობიექტური მიზეზებით ხსნიან.

ნამდვილად კი ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ მაღაროებში უვარგისია შრომის ორგანიზაცია, ხოლო [illegible] ხელმძღვანელობა ვერ ეწყობა სტახანოვურ მოძრაობას.

მთელი რიგი მაღაროები [illegible] სტახანოვური დეკადისათვის და არ შექმნეს პირობები გეგმების შესრულებისათვის.

ვოროშილოვის სახელობის (მაღაროს დირექტორი — აბრამიშვილი, პარტკომი— კაპანაძე, მაღარკომი — ქველაძე). მაღაროში გზების უვარგისობის, ვაგონების დროულად მოუწოდებლობის და ცუდი განათების გამო სტახანოველი ბიწაძე და [illegible] ყოველდღე 2-3 საათს ცდებოდნენ.

ბერიას სახელობის მაღარო გადამწყვეტ უბანს წარმოადგენს მარგანეცის ამოღების საქმეში, მიუხედავად ამისა ეს მაღარო ყველაზე უფრო ჩამორჩენილია, 7-19 თებერვალს გეგმა 64,3 პროცენტით შესრულდა. გეგმების ასეთი დანაკლისით შესრულება იმით აიხსნება, რომ ამ მაღაროებში სრულიად უვარგისი იყო ტრანსპორტი. ტრესტს 15 იანვრამდე უნდა [illegible] მხოლოდ 19 თებერვალს გადაეცა მაღაროებში საქმით ხელმძღვანელობა არ ეწევა სტახანოვურ მოძრაობას.

დიმიტროვის სახელობის მაღაროში ხელს არ უწყობდნენ სტახანოველებს.

მეორე უბნის გამგემ ამხ. ქართველიშვილმა 11 თებერვალს, სამუშაოს მოუწყობლობის გამო, 4 საათს გააცდინა სტახანოველი [illegible], მაღაროში არ ხდებოდა ვაგონების თავის დროზე მიწოდება და სანგრევების წესიერად [illegible] ამის გამო სტახანოველი ნ. [illegible] და ვ. ბარბაქაძე ყოველდღე 2-3 საათს ცდებოდნენ.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას ყველა საშუალება მოეპოვება იმისათვის, რომ უზრუნველყოს გეგმების ყოველდღიური შესრულება, [illegible] გამოიყენოს ეს შესაძლებლობანი.

ბ. ბიაშვილი.

# ამხ. გ. ი. პეტროვსკის სიტყვა

## აფხაზეთის ასსრ ცაკის საიუბილეო სესიის სხდომაზე 1936 წლის 3 მარტს



(ამხ. გ.ი. პეტროვსკის გამოჩენას ტრიბუნაზე ეგებებიან მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით „ვაშას", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!" „გაუმარჯოს ამხ. პეტროვსკის!" ძახილით).

— ამხანაგო აფხაზეთის ცაკის წევრებო!

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მხურვალედ მოგილოცავთ თქვენ — ბოლშევიკებს, კომკავშირლებს, პროლეტარებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მშრომელ ინტელიგენციას, ნორჩ პიონერებს და აფხაზეთის ყველა მშრომელს აფხაზეთის რესპუბლიკის საკავშირო უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოვებას (მქუხარე ოვაცია. ძახილი „ვაშა!" ორკესტრი „ინტერნაციონალს" ასრულებს).

ულრმეს რწმენას გამოვთქვამ, რომ ეს უმაღლესი ჯილდო კიდევ უფრო გააძლიერებს აფხაზეთის ხალხის მეცადინეობას ყველა საწარმოო ძალთა განვითარების და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში, აფხაზეთში სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელებმა, აზერბეიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხებმა ეს ეს არის აღნიშნეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თხუთმეტი წლისთავი.

ყველა ამ რესპუბლიკამ უდიდესი მიღწევები დაგვანახვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში.

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელოვან 15 წლისთავს.

მხურვალედ მოგესალმებით, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ აფხაზეთის ცაკის წევრებს და ყველა მშრომელს აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლების 15 წლისთავზე, (მქუხარე ტაში).

ამხანაგი სტალინისთვის გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერდა საქართველოს მილიონ ნახევარზე მეტი მშრომელი, და რომელიც გაიგზავნა საბჭოთა ხელისუფლების 15 წლისთავთან დაკავშირებით, მეტად მკაფიოდ იყო მოთხრობილი საქართველოს ხალხთა მძიმე ისტორია, მათი უდიდესი ტანჯვა-წამება ექსპლოატატორ კლასთა ბატონობისაგან, მათი გმირული ბრძოლა განთავისუფლებისათვის.

ამ წერილში უდიდესი ძლიერებით არის ნაჩვენები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობა, ბოლშევიკების პარტიის როლი ამხანაგ **ლენინისა** და **სტალინის** მეთაურობით, პარტიისა, რომელმაც აღაგზნო მშრომელი ხალხი კლასობრივ მტერთა ნაციონალისტებისა და მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისათვის — პარტიისა, რომელმაც ყველა ხალხი განათავისუფლა ყოველგვარი პოლიტიკური და ეკონომიური მონობისა და ნაციონალური ჩაგვრისაგან.

ამხანაგი მახარაძის სიტყვაში საქართველოს ცაკის საიუბილეო სესიის გახსნაზე, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მგალობლიშვილის მოხსენებაში სესიაზე, ამხ. ბერიას სტატიაში და სესიაზე გამოსულ წარმომადგენელთა — აფხაზეთის ამხ. ლაკობას, აჭარის — ამხ. ლორთქიფანიძის, სამხრეთ-ოსეთის — ამხ. ჯიჯოევის, აგრეთვე მრავალ სხვათა გამოსვლაში, მრეწველობისა და სოფლის სტახანოველებისა და ნორჩ პიონერთა სიტყვებში თავისი გამოხატულება ჰპოვა სოციალისტური საქართველოს მშრომელი ხალხის ახალმა ცხოვრებამ. ამ ახალი ცხოვრების ყველაზე ნათელი ფურცელი არის უდიდესი ძმობა ამიერ-კავკასიის ყველა ხალხისა სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

აბა, გაიხსენეთ ცარიზმის დრო, როდესაც ერთ ერს მეორეს უსევდნენ, როდესაც აღვივებდნენ სიძულვილს, მართავდნენ რბევას, როდესაც ცარიზმი თავად-აზნაურობის მოსყიდვით კიდევ უფრო მკაცრად აძლიერებდა მუშათა და გლეხთა ყვლეფასა და ჩაგვრას.

ახლა კი ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელის სასიხარულოდ გაიმარჯვა ყველა ეროვნების ძმურმა ერთიანობამ ისევე, როგორც ძმურმა კავშირმა რუსეთისა და უკრაინის მშრომელებს შორის და მთელი ჩვენი დიდი კავშირის ხალხებს შორის. ჩვენი კავშირის ხალხთა ამ მეგობრობას, ამ ერთიანობას, ვერავითარი ძალა ვერასოდეს ვერ შეარყევს.

მშრომელთა დემონსტრაციები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წლისთავთან დაკავშირებით აზერბეიჯანსა, სომხეთსა და საქართველოში, ტფილისში, მთელ საქართველოში, რაიონებში, სოფლებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სადაც მე და ამხანაგი მახარაძე ვიყავით, იყო დემონსტრაცია მშრომელთა ენთუზიაზმის ახალი აგორებული ტალღისა მათი სიყვარულისა ბოლშევიკების პარტიის, ხალხთა ბელადის ამხანაგი **სტალინის** მიმართ (მქუხარე ტაში). საბჭოთა მთავრობის, საბჭოთა კავშირის პირველი მარშალის ამხანაგი ვოროშილოვის მიმართ (მქუხარე ტაში).

მშრომელთა ეს უდიდესი ერთგულება და სიყვარული პარტიისა, ამხანაგი **სტალინისა** და მთავრობისადმი ასახავს ჩვენი დროის შესანიშნავ მოვლენას — გვიჩვენებს სოციალისტური მშენებლობის უდიდეს განმტკიცებას ჩვენს ქვეყანაში.

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თხუთმეტი წლის არსებობის განმავლობაში აფხაზეთის ხალხთა — აფხაზების, ქართველების, აჭარლების, მეგრელების, სვანების, ლაზების, ოსების და სხვა ეროვნებათა ძმურმა მეგობრულმა ცხოვრებამ და ერთსულოვანმა მუშაობამ სოციალისტურ მშენებლობაში უზრუნველყო აფხაზეთის სამეურნეო და კულტურული ზრდა.

ამხ. ლაკობამ თავის მოხსენებაში შეაჯამა უდიდესი მუშაობა სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის განვითარების დარგში, ყველა ეროვნების ახალგაზრდობიდან კადრების აღზრდის დარგში. აფხაზეთში გაჩნდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველები. დასახულია უფრო გრანდიოზული გეგმები აფხაზეთის სახალხო სიმდიდრის შემდგომი აყვავებისა.

უდიდესი მიღწევები აფხაზეთის სოციალისტური მშენებლობისა განსაკუთრებით შესამჩნევია აფხაზეთის ხალხთა მდგომარეობის შედარებით მეფის რეჟიმის და მენშევიკების ბატონობის დროის მდგომარეობასთან, იმ სიღატაკესა და უნუგეშო მდგომარეობასთან შედარებით, რომელშიაც იმყოფებოდნენ რევოლუციამდე აფხაზეთის მუშები და გლეხები.

ყველა ამ მიღწევისათვის ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ბოლშევიკების პარტიას, ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს (მქუხარე ტაში. ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს")** იგი არის ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების, კერძოდ, აფხაზეთის, არამარტო ფუძემდებელი და ხელმძღვანელი, არამედ, ის ამჟამადაც დიდ ყურადღებას აქცევს ამიერ-კავკასიისა და აფხაზეთის სამეურნეო და კულტურული განვითარების საქმეს.

ამ წარმატებებისთვის აფხაზეთის მშრომელები უნდა უმადლოდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, რომელსაც მეთაურობს ნაცადი ხელმძღვანელი ამხ. ბერია (მქუხარე ტაში), რომელიც სწორად ანხორციელებს პარტიის ხაზს, რომელმაც არა ცოტა შრომა დახარჯა კლასობრივ მტერთა წინააღმდეგ, ნაციონალისტთა და უკლონისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში და რომელმაც კარგად შეამჭიდროვა ამიერ-კავკასიის კომუნისტები და მშრომელები წარმატებული სოციალისტური მშენებლობისათვის.

ამ წარმატებებისთვის აფხაზეთის მშრომელები უნდა უმადლოდნენ საქართველოს მთავრობას ამხ. მახარაძის (ტაში) და ამხ. მგალობლიშვილის მეთაურობით (ტაში), რომელნიც დიდ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა აფხაზეთის განვითარებას.

ამ წარმატებებისთვის აფხაზეთის მშრომელები უნდა უმადლოდნენ აგრეთვე აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციისა და საბჭოების წარმატებით მუშაობას (ტაში).

ამხანაგებო! სსრ კავშირის ცაკის დადგენილებით მე მონდობილი მაქვს ლენინის ორდენი გადმოგცეთ თქვენს სესიას.

ვკითხულობ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას აფხაზეთის რესპუბლიკის დაჯილდოების შესახებ:

(დასასრული მე-3 გვ.)

# ამხ. გ. ი. პეტროვსკის სიტყვის დასასრული

**დადგენილება**

**სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა მთელი რიგი რესპუბლიკების, მხარეთა და ოლქების ლენინის ორდენით დაჯილდოვების შესახებ.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: შესანიშნავი წარმატებებისათვის მთელი რიგი წლების განმავლობაში როგორც სოფლის მეურნეობისა, ისე მრეწველობის დარგში, ლენინის ორდენით დაჯილდოვებულ იქნას აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი: **უნშლიხტი.**

მოსკოვი, კრემლი. 1935 წელი. 15 მარტი.

ამ უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს მე გადავცემ ამხანაგ ლაკობას სახით აფხაზეთის მშრომელი ხალხის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიას (ყველა დგება. მქუხარე ოვაცია. ამხ. პეტროვსკი „ინტერნაციონალის" მღერისა და „ვაშას" ძახილის დროს გადასცემს ლენინის ორდენს ამხ. ლაკობას. ისინი ერთმანეთს ხელსართმევენ და ჰკოცნიან).

საკავშირო მთავრობის მისალმებასთან ერთად მიიღეთ უმხურვალესი სალამი და მოლოცვა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხებისაგან (მქუხარე ტაში) შეძახილი „უკრაინულად: გაუმარჯოს უკრაინის მუშებს და კოლმეურნეებს". გაუმარჯოს ამხანაგ პეტროვსკის!.

ლენინის ორდენით დაჯილდოვება ავალებს აფხაზეთის ყველა მშრომელს შემდგომაც შეუპოვრად იმუშაონ მრეწველობისა, კოლექტიური მშენებლობისა და სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის.

აფხაზეთის მშრომელებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი მხარდამხარ უნდა მისდევდნენ სსრ კავშირის მოწინავე რესპუბლიკებსა და ოლქებს და ახსოვდეთ, რომ ჩვენ მეორე ხუთწლედში უნდა დავამთავროთ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგება, უნდა დავსძლიოთ კაპიტალიზმის გადმონაშთი ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში, უნდა დავსძლიოთ კონსერვატიზმი და ჩამორჩენილობა, რომელნიც ჯერ ისევ აფერხებენ საწარმოო ძალთა განვითარებას.

დაე აფხაზეთის ყველა ხალხს, მოხუცსაც და ახალგაზრდასაც ახსოვდეს, რომ მათი რესპუბლიკა ახლა ორდენოსანია, რომ ახლა იმათ უკეთ უნდა იმუშაონ და ისწავლონ, ვიდრე აქამდე, რათა გაამართლონ პარტიისა და მთავრობის უმაღლესი ნდობა და შემდგომ მიაღწიონ ახალ ჯილდოებს.

1936 წლის სტახანოვური წელი აღინიშნება, როგორც არასოდეს წარსულში, მშრომელი მასების აქტიურობისა და თვითმოქმედების ზრდით მთელ საბჭოთა კავშირში. თქვენ, რომელთაც დიდი მიღწევები გაქვთ მრეწველობაში, რკინიგზის მშენებლობაში, როგორც სოფლის მეურნეობაში, კიდევ უფრო მაღლა უნდა ასწიოთ მშრომელთა თვითმოქმედება და სრულყოთ და აამაღლოთ პროდუქციის ხარისხი. უფრო მეტად გაამრავლოთ ციტრუსების და ტექნიკური კულტურების ნარგავები, განახორციელოთ მთლიანი კოლექტივიზაცია, ყველა კოლმეურნეობა გადააქციოთ ბოლშევიკურად და შეძლებული ცხოვრება მოუპოვოთ ყველა მუშასა და კოლმეურნეს.

ამ ამოცანათა შესრულების გზაზე თქვენ კიდევ შეგხვდებათ მრავალი სიძნელე, რომელთაც, უეჭველია, დასძლევთ პარტიული ორგანიზაციის მტკიცე ხელმძღვანელობით, ორგანიზაციისა, რომელსაც დაახმარეს პარტიის ოლქკომის ახალი მდივანი ამხ. აგრბა, გამოცდილი ბოლშევიკი, რომელსაც მოეპოვება ბაქოს პროლეტარიატს შორის მუშაობის დიდი გამოცდილება (ტაში).

ამ ამოცანათა წარმატებით გადასაწყვეტად სათანადო სიმაღლეზე დაყენებულ უნდა იქნას მუშაობა საბჭოებისა, სექციებისა, სადეპუტატო ჯგუფთა და ცალკეულ დეპუტატებისა თქვენს რესპუბლიკაში. ყველაფერი და ყველანი უნდა ჩააბათ მშრომელი ხალხის სამსახურში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქალთა ჩაბმას აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში, რათა ისინი ეზიარონ მაღალ სოციალისტურ კულტურას.

უფრო დაჟინებით უნდა აღვზარდოთ ახალგაზრდა კადრები აფხაზეთის ყველა ეროვნებისაგან, აღვზარდოთ ისინი კომუნიზმის პრინციპების მიხედვით, გამოვაწრთოთ მათში ბოლშევიკური ნებისყოფა.

ეჭვი არ არის, რომ ამ ძალთა დახმარებით აფხაზეთის რესპუბლიკა 1936 სტახანოვურ წელს თავისი სამეურნეო და კულტურული განვითარების უფრო მაღალი ტემპებით აღნიშნავს.

გაუმარჯოს პროლეტარებს, კოლმეურნეებს და აფხაზეთის მშრომელ ინტელიგენციას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს აფხაზეთის ხელმძღვანელებს ამხ. აგრბას (მქუხარე ტაში) და ლაკობას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელოვან ფედერაციას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს დიდ კომუნისტურ პარტიას, ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს. (მქუხარე ოვაცია. „ინტერნაციონალი" ისმის ძახილი: გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს! ვაშა!)

(ამხ. პეტროვსკის სიტყვის დასკვნით ნაწილს აფხაზეთის ასსრ ცაკის სესია ფეხზემდგომი ისმენს).

## სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტში

# წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლების დარგში მუშაობა

მოსკოვი, 26 თებერვალი. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება, „წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლების დარგში მუშაობის შესახებ".

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ.(ბ) ც.კ.-მა აღნიშნეს უდიდესი მიღწევები საბჭოთა კავშირში მოზრდილ მოსახლეობას შორის წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის მხრივ: პირველი და მეორე ხუთწლედის მანძილზე წერა-კითხვა შეასწავლეს დაახლოებით 40 მილიონ მშრომელს.

ამასთან ერთად სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ.(ბ) ც.კ.-მა აღნიშნეს — არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქ. კ.პ.(ბ) მე-17 ყრილობის გადაწყვეტილება, რომ მეორე ხუთწლედში დამთავრდეს არა მარტო წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია, არამედ მცირემცოდნეობის ლიკვიდაციაც საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში.

მთელი რიგი მხარეების, ოლქების და რესპუბლიკების საბჭოთა, პარტიულმა, და პროფესიულმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს ხელმძღვანელობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დამთავრებისა და მცირემცოდნეთა სწავლების დარგში მუშაობის მხრივ. კომკავშირული ორგანიზაციაც, რომელიც დიდ როლს თამაშობდა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში, ბოლო დროს არადამაკმაყოფილებლად ეწევა ამ უმნიშვნელოვანეს მუშაობას და არ ცდილობს, რათა წერა-კითხვა მთლიანად შეასწავლოს ყველა წერა-კითხვის უცოდინარს და მცირემცოდნე მოზარდს—ახალგაზრდას, ნაციონალური და განაპირა რაიონების ყველა ქალიშვილს, მთელს მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-მა აღნიშნეს, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დამთავრება და მცირემცოდნეთა სწავლების საქმის ორგანიზაცია არის რესპუბლიკათა განსახკომების, მხარეთა, ოლქთა და რაიონთა სახალხო განათლების განყოფილებების პირდაპირი მოვალეობა. მაგრამ ეს მუშაობა განსახკომების ორგანოებმა უკანა რიგში დააყენეს, რის შედეგად ირღვევა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დამთავრების ვადები მთელ რიგ ოლქებსა და რესპუბლიკებში, არასაკმარისია სწავლებაში მცირემცოდნეთა ჩაბმა. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებში სწავლების ხარისხი ძალიან დაბალ დონეზე დგას.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს შეუწყნარებლად მიაჩნიათ საბჭოთა კავშირში წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის სრული ლიკვიდაციის საქმესთან აღნიშნული ორგანიზაციების ასეთი დამოკიდებულება და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობის მიერ დასმული ამოცანის შესრულება—„ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად" შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა კულტურული და პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლების პირობებში. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშაობას სსრ კავშირის იმ მოქალაქეთა წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში, რომლებსაც სწავლა არ მიუღიათ სკოლაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ.(ბ) ც.კ.-მა საჭიროდ მიიჩნიეს 1936-1937 წ. განმავლობაში მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია 50 წლამდე ასაკის მშრომელთა შორის და დაავალეს რესპუბლიკათა განსახკომებს შეასწავლონ 1936 წელს 4 მილიონ წერა-კითხვის უცოდინარს და 3 მილიონ მცირემცოდნეს.

გარდა ამისა, პროფესიულმა კავშირებმა წერა-კითხვა უნდა შეასწავლონ პროფკავშირთა 1 მილიონ წერა-კითხვის უცოდინარ წევრს (სოფლიდან ახლად მოსულ მუშებს, სახალხო-სამეურნეო, სეზონურ მუშებს), აგრეთვე მათი ოჯახების 1 მილიონ მოზრდილ წევრს 1936 და 1937 წლების განმავლობაში და 1.500 ათას მცირემცოდნეს 1936 წელს.

რესპუბლიკათა განსახკომებს, პროფესიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ჩააბან სწავლაში 1936 წელს ყველა მოზარდი 14-დან 18 წლის ასაკამდე და ამისათვის უზრუნველყონ სპეციალურ სკოლათა გახსნა. ამ სკოლებში მოსწავლეებმა უნდა მიიღონ ცოდნა დაწყებითი სკოლის მოცულობით.

წვევამდელთათვის წერა-კითხვის შესწავლა იმგვარად უნდა იქნას დაყენებული, რომ 1936 წლიდან წითელ არმიაში გაწვეულთა შორის არცერთი წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე არ იყოს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-მა დაავალეს ადგილობრივ საბჭოების თავმჯდომარეებს, აგრეთვე იმ საწარმოთა და საბჭოთა მეურნეობათა დირექტორებს, რომელთა მუშებმა და კოლმეურნეებმა სწავლა უნდა გაიარონ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებში, კოლმეურნეობათა გამგეობებს, პროფორგანიზაციებს უზრუნველყონ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლები სადგომით, განათებით, მოწყობილობით (მაგიდებით, მერხებით და სკამებით, საკლასო დაფებით). მოზრდილთა სკოლებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას არასასწავლო საათებში დაწყებითი სკოლების სადგომები, სოფლის ადგილებში, სამკითხველოები, კლუბები, წითელი კუთხეები, ქოხსამკითხველოები [illegible], აგრეთვე დაწესებულებათა ოთახები არასამუშაო საათებში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-მა დაამტკიცეს სასწავლო გეგმა წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისათვის და მისცეს დირექტივა რუსული [illegible] პედაგოგიურ გამომცემლობას 1936 წლის 15 მარტიდან გამოსცეს წერა-კითხვის უცოდინართა სკოლებისათვის: ანბანის წიგნები რუსულ ენაზე 800 ათასი ეგზემპლარი, საკითხავი წიგნები რუსულ ენაზე—1 მილიონი ეგზემპლარი, ამოცანათა კრებული—1 მილიონი ეგზემპლარი; მცირემცოდნეთა სკოლებისათვის გამოსცეს რუსულ ენაზე—საკითხავი წიგნები 800 ათასი ეგზემპლარი, გრამატიკის სახელმძღვანელოები—800 ათასი ეგზემპლარი ამოცანათა კრებული 800 ათასი ეგზემპლარი და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები—800 ათასი ეგზემპლარი.

ნაციონალურ რესპუბლიკათა გამომცემლობებს წინადადება მიეცათ გამოსცენ დედაენაზე შემდეგი სახელმძღვანელოები. ანბანის წიგნები—2,5 მილიონი ეგზემპლარი, საკითხავი წიგნები—1200 ათასი, ამოცანათა კრებულები—1200 ათასი, ხოლო მცირემცოდნეთა სკოლებისათვის გამოსცენ დედაენაზე—საკითხავი წიგნები — 1300 ათასი ეგზემპლარი, გრამატიკის სახელმძღვანელოები—1300 ათასი ეგზემპლარი, ამოცანათა კრებულები 1300 ეგზემპლარი.

რუსულ და სხვა ნაციონალურ ენებზე ყველა აღნიშნულ სახელმძღვანელოს ასეთივე რაოდენობა ხელმეორედ უნდა გამოიცეს 1936 წლის სექტემბერში.

ამავე გადაწყვეტილებით სათანადო ორგანიზაციებს დაევალათ უზრუნველყონ მხატვრული მატერიალი და სოციალ-ეკონომიური ლიტერატურის გამოცემა დიდი ტირაჟებით მასობრივი კითხვისათვის.

რესპუბლიკათა განსახკომებს დაეკისრათ პირდაპირი პასუხისმგებლობა მუშა და კოლმეურნე მასების სწავლების დარგში მუშაობისათვის.

ამის შესაბამისად რესპუბლიკათა განსახკომებში იქმნება მოზრდილთა განათლების სპეციალური სამმართველოები, სახალხო განათლების სამხარეო და საოლქო განყოფილებებში—მოზრდილთა სწავლების სექტორები, ხოლო რაიონებში არსდება წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების ინსპექტორთა შტატი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ.(ბ) ც.კ.-მა დაავალეს რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს და საქ. კ.პ. (ბ) სამხარეო და საოლქო კომიტეტებს ყოველდღიური მეთვალყურეობა გაუწიონ განსახკომებს, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას მშრომელი მოსახლეობის სწავლების დარგში და აღმოუჩინონ მათ საჭირო დახმარება ამ მუშაობაში.

საბჭოები ვალდებული არიან გაუწიონ კონტროლი სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაობას, აღმოუჩინონ მათ ყოველდღიური დახმარება მოზრდილთა შორის მთელი საგანმანათლებლო მუშაობის მოწყობაში და უზრუნველყონ საბჭოთა საზოგადოებრიობის მობილიზაცია მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობისათვის საბრძოლველად, იმისათვის საბრძოლველად, რათა მშრომელთა სწავლებისათვის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ქვეყნის ყველა კულტურულმა ძალამ: მასწავლებლებმა, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებმა, აგრონომებმა, ექიმებმა, სტუდენტებმა და სხვ.

წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლების ღონისძიებათა რაც შეიძლება უფრო წარმატებით განხორციელებისათვის ქალაქის და სოფლის საბჭოებთან, აგრეთვე რაიაღმასკომებთან სდგება წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის სექციები, ხოლო საზოგადოება „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა" უქმდება.

# მასწავლებელთა სამუშაო ხელფასის დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, განიხილეს რა საკითხი მასწავლებელთა ხელფასის დავალიანების შესახებ, დაუშვებლად სცნეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც რსფს რესპუბლიკის მთელ რიგ მხარეებსა, ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა დროზე იძლევა საჭირო სახსრებს, აგვიანებენ მასწავლებელთათვის სამუშაო ხელფასის გაცემას, და ეს სათანადო დაწესებულებათა ბიუროკრატიული მოუჩვილობის გამო არაერთხელ მეორდება.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ვორონეჟისა და კურსკის ოლქები, კუიბიშევისა და აზოვ-შავი ზღვის მხარეები, აგრეთვე ყაზახეთის ასსრ.

ვინაიდან პასუხისმგებლობა ასეთი სამარცხვინო მოვლენისათვის პირველ რიგში ეკისრება რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატსა და ადგილობრივ აღმასკომებს, რომლებიც ვალდებული არიან თვალყური ადევნონ მასწავლებელთათვის ხელფასის დროულად გაცემას, აგრეთვე სსრ კავშირისა და რსფს რესპუბლიკის ფინანსთა სახკომატს, რომლებიც თავის დროზე კონტროლს არ უწევდნენ ბიუჯეტის შესრულებას, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა

**დაადგინეს:**

1. საყვედური გამოეცხადოს განათლების სახალხო კომისარს ამხ. ა. **ს. ბუბნოვს** მასწავლებელთათვის ხელფასის დროზე გაცემის საქმეში ხელმძღვანელობისა და კონტროლის უქონლობის გამო.

2. მიეთითოს სსრკ და რსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. გრინკოს და ამხ. ვ. ნ. იაკოვლევას იმაზე, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს კონტროლი მასწავლებელთათვის სამუშაო ხელფასის დროულად გაცემაში, არ ამოწმებდნენ რა ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებას.

3. საყვედური გამოეცხადოს ვორონეჟის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ორლოვს მასწავლებელთათვის ოლქში სამუშაო ხელფასის გაცემის სისტემატური დაგვიანებისა და დავალიანებისათვის.

4. ვორონეჟის სახალხო განათლების საოლქო განყოფილების გამგე ამხ. ხარჩევა, რომელსაც უკვე ჰქონდა საყვედური გამოცხადებული პარტიული კონტროლის კომისიისაგან სამუშაო ხელფასის არადროულად გაცემის გამო, მოიხსნას სამუშაოდან და გადაყვანილ იქნას სარაიონო სახალხო განათლების განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

5. წინადადება მიეცეთ საოლქო აღმასკომებისა და სამხარეო აღმასკომების თავმჯდომარეებს, აგრეთვე საქ. კ.პ. (ბ) საოლქო კომიტეტებისა და სამხარეო კომიტეტების მდივნებს თვალყური ადევნონ მასწავლებელთათვის სამუშაო ხელფასის დროულად გაცემას, მიეცეთ რა მათ გაფრთხილება, რომ შემდეგში ისინი საკუთარ პერსონალურ პასუხს აგებენ მასწავლებელთათვის სამუშაო ხელფასის არადროულად გაცემისა და დავალიანებისათვის.

◇ ◇ ◇

პეტრე სამსონიძე

# სტალინ!

1.
რა შეედრება რუსთაველის ჩანგს
[illegible] გრანიტულ [illegible]
მარგალიტები შოგ [illegible]
ტკბილ შარბათივით სვამ და [illegible]...
რა შეედრება სტალინის სიბრძნეს
კარგ ცხოვრებისკენ რომ მიგვიძღოდეს.
შენდამ პოეტი!
[illegible]
და გაუმართე ფრთები სტრიქონებს...
სტრიქონისათვის—სტალინის სიბრძნე,
ადამიანში ახდენს მიწისძვრებს...

2.
მზე, როგორც ოქროს დიდი [illegible]
გულ-უხვათ აფრქვევს
მიდამოს სხივებს...
გრძნობები ნაპირს [illegible]
დღეს ჩემი ქვეყნის
თვალში ვხედავ—
სტალინის გული—
ხალხის გულშია...
და ხალხის გულიც—
მის მკერდში ძგერს...
გული წიგნივით გადაუშლია,
და შიგ კითხულობს:
აზრებს [illegible]...
უზარმაზარი სტალინის გული
სავსეა ხალხის [illegible] სიყვარულით...

3.
რა კარგი დღეა—
გავიდეთ მინდვრად...
აყვავებული ყაყაჩოები...
ადამიანი მაღლა [illegible]
დაუმსხვრევია ქვის ჩარჩოები
კოლმეურნეებს გაუხარიათ,
როგორც ნაწვიმარ—
მინდორს ჯეჯილი...
წინად ღელეში ქედი უხრიათ,
ახლა ძალ-ღონე დაუყვიათ ერთად...
ფრთა გაუშლია სტალინის სიბრძნეს
და ეს მინდვრებიც სიმღერით [illegible].

4.
შენ, მშვენიერო ჩემო სოფელო!
ყოველდღიურად ვხედავ [illegible]...
როგორც მზე, ისე ცხოველმყოფელს
სტალინის თვალი—
როცა გიცქერის...
[illegible]
ავტო-მანქანით წინ მიგაქროლებს...
ქალაქის მუშა წამოგეშველა
ფრთები მოსტეხე მტაცებელ ქორებს...
შენ მშვენიერო ჩემო სოფელო
ვხედავ მზესავით ცხოველმყოფელს...
გულში ყვავიან ვარდნი, იანი..
[illegible]
[illegible]
სტალინ—ეს შენი ფეთქავს გულში...
[illegible] ადამიანი
და სიხარულის [illegible]...

6.
თუ მშრომელს გული აჰკრავდა ოდესღაც
სტალინ—ეს შენი [illegible]...
[illegible]
[illegible]
შენ სიყვარულით მიიკარ მკერდზე
[illegible] ჩემი ქვეყანა...
[illegible] მოსულ მტრებზე
ბედნიერება, რომ [illegible]...

7.
ჩვენ სხვისა მიწის არ გვინდა ცალიც—
ჩვენს მიწის გოჯიც
არ დავთმობთ.
მაგრამ თუ მტერი მაინც მოგვესევა—
ჩვენს ლამაზ ბაღში
ღორივით [illegible]
ჩვენ იმ ღორს—
ისე დავუმტვრევთ გვერდებს,
რომ დინგით ერთად
დაკარგოს თავი...
სტალინ—ეს შენი სიბრძნე [illegible]
[illegible]...
სტალინ! თუ დაჰკრა ომის საათმა
მილიონები იქცევა [illegible]...

8.
ჩემო სამშობლო!
რა დიდი ხარ!
დიდი სტალინის სიბრძნის შუქით—
გიცქერ და ისე ვამბობ,
[illegible] ლექსი მართლა [illegible]—
მომეცით გული მთაზე უფრო,
[illegible] მასში გრძნობებს,
[illegible] მკერდი
მართლა გატყდება,
ამდენი გრძნობის [illegible]...
მომეცით ჩანგი: დიდი, ვეება
[illegible] სტალინის შემოქმედება...

9.
სტალინ—ეს ცაში თვითმფრინავები...
სტალინ—ეს თბილი [illegible]...
სტალინ—ეს ძლევის ქარიშხალია...
სტალინ—ეს ბრძოლის ცეცხლის ალმი...
სტალინ—ეს ქვეყნის სიხარულია
სტალინ—ეს შრომის [illegible]...
სტალინ—ეს სიბრძნის დიდი [illegible]...
სტალინ—ეს [illegible]
სტალინ—ეს ჩვენი დღევა [illegible]...
სტალინ—ეს [illegible] ადამიანი...

◇ ◇ ◇



ტფილისის სახელმწიფო ცირკის საკონკურსო პროექტი.
პროექტის ავტორი — არქიტექტორი ვ. ფიოლია.

◇ ◇ ◇

ა. ქავთარაძე

საქ. სახკომსაბჭოს რწმუნ. საქარ სახ.-სამ. პროდ. დამზადების ხაზით.

# სტახანოვურად წავწიოთ წინ მეაბრეშუმეობა

მეაბრეშუმეობას საქართველოს სახალხო მეურნეობაში საკმაოდ თვალსაჩინო ხვედრითი წონა აქვს. მასში ჩაბმულია 140 ათასამდე მეურნეობა. საქართველოს მეაბრეშუმეობის პროდუქცია შეადგენს საბჭოთა კავშირის მეაბრეშუმეობის მთელი პროდუქციის 15 პროცენტამდე.

საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების ბოლშევიკური რეალიზაციისა და საქართველოს მეაბრეშუმეობის დარგში [illegible] შედეგთა გადაჭრით აღმოფხვრის საფუძველზე, შესძლეს უკანასკნელ წლებში ძირეული გარდატეხის მიღწევა პარკის მოსავლიანობის გადიდებისა და მეაბრეშუმეობაში აგროტექნიკის დანერგვის მხრივ. პარკის მოსავლიანობა მეაბრეშუმეობისა და პროდუქციის ოდენობა წლითიწლობით განუხრელად მატულობს. მაგალითად, თუ 1932 წელს ერთი კოლოფი თესლიდან მოსავალი შეადგენდა 13.6 კილოგრამს, რის შედეგად მრეწველობამ მიიღო 1.229 ტონა პარკი, სამაგიეროდ უკვე 1935 წელს ეს მოსავლიანობა აყვანილ იქნა 31.7 კილოგრამამდე და პარკის საერთო მოსავალი უდრიდა 2.552 ტონას.

მაგრამ მეაბრეშუმეობის საერთო წარმატებებმა [illegible] არ უნდა მიჩქმალონ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც მთელ რიგ ძირითად რაიონებში იყო.

ყველა რაიონულმა ორგანიზაციამ როდი შესძლო უზრუნველეყო [illegible] შემობრუნება მეაბრეშუმეობის განვითარებისა და განმტკიცების საკითხებისაკენ. ამის გამო ეს რაიონები დაბლა სწევენ მეაბრეშუმეობის დარგში მიღწეულ წარმატებებს. მათ ვერ შესძლეს უზრუნველეყოთ 1935 წლის მოსავლის პარკის დამზადების დაწესებულ გეგმათა შესრულება (მარტვილის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ზონის, აბაშის, წალენჯიხის და სხვა რაიონები). ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელები, არსებული დეფექტების აღმოფხვრის ნაცვლად, ცდილობდნენ გასული წლის დამზადების [illegible] მუშაობის სუსტი ორგანიზაცია გაემართლებინათ არახელსაყრელი კლიმატური პირობებით აბრეშუმის ჭიის გამოკვების პერიოდში, [illegible] დაზიანებულობით, რაიონის [illegible] დატვირთვით სხვა შრომატევადი კულტურებით, (კერძოდ ჩაით), თუთის ფოთლის ნაკლებობით და სხვ. ამავე დროს მოწინავე რაიონების პრაქტიკამ და თვით ყველაზე ჩამორჩენილ რაიონთა მოწინავე მეაბრეშუმეების გამოცდილებამ დაამტკიცეს, რომ სრულიად უსაფუძვლოა იმ ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკთა მტკიცებანი, რომლებიც გეგმის შეუსრულებლობას „ობიექტური" მიზეზებით ხსნიდნენ.

სადაც მეაბრეშუმეობისა და მეთუთეობის საკითხები რაიონული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იდგა, სადაც მეაბრეშუმეობის დარგში მუშაობას მოხერხებულად ათავსებდნენ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში მუშაობასთან, სადაც საკოლმეურნეო შრომა მოწყობილი იყო საკოლმეურნეო [illegible] სტალინური წესდების საფუძველზე, სადაც მაქსიმალურად მოახდინეს საკვები რესურსების მობილიზაცია და სათანადოდ დააყენეს მეაბრეშუმე მასების აგრომომსახურება,—იქ რაიონებმა შესძლეს და მიიღეს მაქსიმალური მოსავალი, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს დამზადების გეგმები.

ასეთების რიცხვს ეკუთვნის შემდეგი რაიონები: [illegible], რომელმაც პარკის დამზადების გეგმა შეასრულა 145.5 პროცენტით და 1 კოლოფიდან მიიღო 40.7 კილოგრამი მოსავალი, მახარაძის—შესაბამისად 122.5 პროცენტი და 38 კილოგრამი, ჩოხატაურის—121 პროცენტი და 38.7 კილოგრამი, თელავის—150 პროცენტი და 48 კილოგრამი, ყვარლის—139 პროცენტი და 41.7 კილოგრამი, აფხაზეთი—115.6 პროცენტი და 31.5 კილოგრამი და სხვ.

ამასთან ერთად, ცალკეულმა მეაბრეშუმეებმა მიიღეს მეაბრეშუმეობის ისტორიაში [illegible] მოსავალი. ასე, მაგალითად, [illegible] რაიონის სოფ. [illegible] მეაბრეშუმე ქალმა დ. ივანიძემ ნახევარ კოლოფ თესლიდან მიიღო 43 კილოგრამი პარკი, მეაბრეშუმე შუშანიკა წიწქიძემ (ზონის რაიონი) 1 კოლოფიდან ჩააბარა 91 კილოგრამი პარკი, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 31 კილოგრამისა, და ამაში მიიღო 801 მან. დამზადების ღირებულება და 218 მანეთის აბრეშუმის ქსოვილი შეღავათ ფასებში.

დამახასიათებელია, რომ მეაბრეშუმეთა რიგებში ერთეულებით კი არა, არამედ ათასობით არიან ისეთები, რომლებმაც მოგვცეს სტახანოვური მეთოდებისა და საჩვენებელი მუშაობის ნამდვილი ნიმუშები. [illegible] რაიონის 2.600 მეაბრეშუმიდან 500-ზე მეტმა მეაბრეშუმემ უკვე 1935 წელს სახელმწიფოს ჩააბარა 70 კილოგრამზე მეტი პარკი თითო კოლოფიდან.

მეაბრეშუმეობის შემოსავალი უკვე საკმაოდ თვალსაჩინო როლს თამაშობს კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების განმტკიცებაში. მარტო ზონის რაიონში 1935 წელს მეაბრეშუმეებს მიეცათ 980.000 მანეთი ფულად და 198.000 მანეთის აბრეშუმის ქსოვილი თვითღირებულების მიხედვით. გარდა ამისა, გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიების სახით დარიგდა 50.000 მანეთზე მეტი.

საქართველოს რაიონული ორგანიზაციებისა და მეაბრეშუმე მასების წინაშე 1936 წელს განუზომლად უფრო დიდი და პასუხსაგები ამოცანა დგას—მისცენ ჩვენს ქვეყანას 2.950 ტონა მაღალხარისხოვანი პარკი, 38 კილოგრამამდე გაადიდონ პარკის მოსავალი ერთ კოლოფ თესლზე.

თვითეული რაიონული ორგანიზაციისათვის ღირსების საქმედ უნდა გახდეს არა მარტო განმტკიცება გასულ წელს მიღწეულ წარმატებათა, არამედ საგრძნობლად გაადიდოს პარკის მოსავლიანობაც. ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა გავითვალისწინოთ და მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოწინავე მეაბრეშუმე-სტახანოველთა გამოცდილება და მივაღწიოთ, რათა ამ საფუძველზე თვითეულმა მეაბრეშუმემ უზრუნველყოს მაღალი მოსავლის მიღება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება. აბრეშუმის ჭიის ნორმალური კვების უზრუნველსაყოფად აუცილებლად საჭიროა კვების ფართობის აყვანა დაწესებულ ნორმებამდე (2 კვად. მ-დან ჭიის პირველ ასაკში 35 კვად. მ-დე მეხუთე ასაკში).

პარკის მოსავლიანობის გადიდება უეჭველად მოითხოვს მეაბრეშუმეთა აგრომომსახურების გაძლიერებას. რისთვისაც საქ. აბრეშუმტრესტის სისტემამ უნდა გაადიდოს ინსტრუქტორთა რიცხვი (170 კოლოფზე საშუალოდ 1 ინსტრუქტორი) და ინსტრუქტორთა კადრი ძირითადად დააკომპლექტოს აგრონომებით. რაიონულ ორგანიზაციათა ამოცანაა მდგომარეობს იმაში, რომ სწორად გაანაწილონ არსებული აგროტექნიკური კადრები და ისე მოაგვარონ მათი მუშაობა, რომ უზრუნველყონ მეაბრეშუმეებისათვის ყოველდღიური დახმარების გაწევა აბრეშუმის ჭიის ნორმალური კვებისათვის საჭირო მითითებათა მიცემაში. უკვე 1936 წელს უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ინსტრუქტორი თვითეულ მეაბრეშუმეს ნახულობდეს ერთხელ მაინც ორ დღეში და რომ გაძლიერდეს აგროტექნიკური დახმარება განსაკუთრებით უკანასკნელ გადამწყვეტ ასაკებში. თესლისა და პარკის 1936 წლის კამპანია უნდა მიმდინარეობდეს „აბრეშუმის თვითეული ჭიის სიცოცხლისათვის ბრძოლის" ნიშნით მეაბრეშუმეობაში ყოველგვარი დანაკარგის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მთელ რიგ რაიონებში კვების ფონდის მხრივ შეიძლება შეიქმნას დაძაბული მდგომარეობა, მეტადრე უკანასკნელ ასაკში. ამიტომ, რაიონში არსებული თუთის ფონდის მაქსიმალურ და რაციონალურ გამოყენებასთან ერთად, აუცილებლად საჭიროა აგრეთვე გამოვნახოთ საკვები რაიონის ფარგლებს გარეთაც, თუთის ფოთლის გეგმაშეზომილი და ორგანიზებული გადაზიდვის გზით. ამ საქმეში კოლმეურნეობათა გამგეობებმა მეაბრეშუმე კოლმეურნეებს დახმარება უნდა გაუწიონ სატრანსპორტო საშუალებებით, აგრეთვე გაათავისუფლონ ისინი სხვა მუშაობისაგან აბრეშუმის ჭიის მეხუთე ასაკის პერიოდში იმ ანგარიშით, რომ 1 კაცი მუშაობდეს ჭიის თესლის თითო კოლოფზე. უნდა გავითვალისწინოთ ნაკლოვანებანი აბრეშუმის ჭიის თავის დროზე დარიგების მხრივ მთელ რიგ ადგილებში და ისე ავაგოთ საინკუბაციო კამერებში ჭიის გამოსვლის გრაფიკი, რომ თვითეულმა მეაბრეშუმემ იცოდეს, თუ საიდან და რა დროს შეუძლია ჭიის მიღება, და არ იქნას დაშვებული უკვე გამოსული ჭიის დატოვება კამერებში. ჭიის დაავადების შემთხვევათა თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად საჭიროა გამოკვების წინ მოვახდინოთ ჭიის ფარეხთა, აგრეთვე საკვები ინვენტარის დეზინფექცია, უწინარეს ყოვლისა იმ მეურნეობებში, სადაც შარშან ჭიის დაავადებას ვხვდებოდით.

1936 წელს საქ. აბრეშუმტრესტის სისტემა უზრუნველყოფს 100 პროცენტით ინკუბაციაში გატარებული თესლის დარიგებას, რაც ბევრად გაადიდებს პარკის მოსავლიანობას (რამდენადაც კამერებში ინკუბირებული თესლი უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე სახლში ჭიის გამოყვანა).

აგრეთვე უზრუნველყოფს ჭიის წონით დარიგებას მეაბრეშუმეებისათვის. თესლის ინკუბაციის ნორმალურ პირობათა უზრუნველსაყოფად რაიონულმა ორგანიზაციებმა უნდა შემოიღონ სპეციალური ბრიგადები [illegible] ინკუბაციის სისწორის პერიოდულ შემოწმებისათვის, ხოლო ჭიის გამოკვების პერიოდში სამთვალყურეო საგუშაგოთა და საზედამხედველო [illegible] საშუალებით, რომლებიც საზოგადოებრივი მუშაობის წესით გამოიყოფიან, მოაწყონ ჭიის გამოკვების სისწორის სისტემატური შემოწმება.

კადრების სწორი შერჩევისა და განაწილების, მიმღებ პუნქტთა და პარკსაშრობთა ნორმალური მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს, ჩამბარებლებთან ანგარიშის შეუფერხებლად გასწორების, პუნქტებში ჩამბარებელ მეაბრეშუმეთა კულტურული მომსახურების ორგანიზაციის საკითხებს 1936 წელს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა დასმული ამოცანის შესასრულებლად—მივცეთ ჩვენს ქვეყანას 2950 ტონა პარკი.

მეაბრეშუმეობის ბაზის შემდგომი განმტკიცების და განვითარების საქმეში არანაკლები მნიშვნელობა აქვს მეთუთეობის საკითხებს.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობის ამ მნიშვნელოვან უბანს უმეტესი რაიონული ორგანიზაციები დღემდე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ, რის გამო მთელ რიგ რაიონებში საკვები ფონდი არათუ არ გადიდდა, არამედ საგრძნობლად შემცირდა. საკვები ფონდის შემცირების სხვა მიზეზებს შორის უნდა აღინიშნოს კულაკობის კოლექტივიზაციის დასაწყისში: კულაკობამ გასჩეხა თუთის ნარგავთა საგრძნობი რაოდენობა.

1936 წელი მეთუთეობის მხრივაც უნდა გახდეს გარდატეხის წელი, ვინაიდან თუ მეთუთეობის საკითხები სერიოზულად არ დაისმება და დადებითად არ გადაიჭრება, ეს შეზღუდავს მეაბრეშუმეობის განვითარების ტემპებს. ამიტომ რაიონულ ორგანიზაციათა ამოცანა, არსებული ფონდის შენარჩუნებასთან ერთად, უნდა იყოს აგრეთვე თუთის ახალ ნარგავთა გაშენება და ძველ ნარგავთა რემონტი. ამისათვის საჭიროა ფართოდ მოვაწყოთ სანერგე მასალის გაშენება და მისი დარგვა თვითონ კოლმეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. ამ ღონისძიებით შეიქმნება სერიოზული წანამძღვარი იმისათვის, რომ ჭიის ინდივიდუალური გამოკვებიდან, რომელიც ახლა სწარმოებს, გადავიდეთ კოლექტიურ, განსაზოგადოებულ გამოკვებაზე.

მანამდე კი, განსაზოგადოებული გამოკვება დასაშვებია მხოლოდ ორგანიზაციული და სამეურნეო მხრივ მოღონიერებულ კოლმეურნეობებში იმ სავალდებულო პირობით, თუ იქნება თვით კოლმეურნეთა ნებაყოფლობითი თანხმობა და აგრეთვე შესაფერი სადგომი განსაზოგადოებული გამოკვებისათვის. ამასთან ერთად, კოლმეურნეებს შეუძლიათ კოლმეურნეობის მიერ წარმოებული გამოკვების დამოუკიდებლად აწარმოონ ჭიის ინდივიდუალურად გამოკვება.

გარდა სანერგე მეურნეობის და თუთის ხის ფართო მაშტაბით დარიგებისა, რაიონულმა ორგანიზაციებმა თუთის არსებულ ნარგავთა შენარჩუნებისათვის გადამწყვეტ ბრძოლასთან ერთად (გამჩეხავთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით) უნდა გამონახონ აგრეთვე სხვა შესაძლებლობანი საკვები ფონდის გასადიდებლად. ამ შესაძლებლობათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ გზებისა და საირიგაციო სისტემათა შემორგვა ძირითადად თუთის ხით და ამ ნარგავთა მიმაგრება მახლობელ კოლმეურნეობებზე, მათი მოვლის, შენარჩუნებისა და სწორი ორგანიზაციის მიზნით. ბოლოს, ციტრუსოვანი რაიონების მაგალითისამებრ, უნდა მოეწყოს თუთის ხის განსაზღვრული რაოდენობის დარგვა კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, უპირველეს ყოვლისა იმ რაიონებში, რომლებმაც მოაწყეს სანერგე მეურნეობა ყველა კოლმეურნის უზრუნველსაყოფად კეთილხარისხოვანი სარგავი მასალით.

რაიონული ორგანიზაციების წინაშე მეაბრეშუმეობის დარგში 1936 წ. უდიდესი და პასუხსაგები ამოცანები დგას. ინტერესები სახალხო მეურნეობის და სოციალიზმის მშენებელთა ფართო ფენებისა, რომლებიც კულტურული და შეძლებული ცხოვრების გზით მიდიან, მოითხოვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის წინაშე, კერძოდ მეაბრეშუმეობის წინაშე მდგარ ყველა ამოცანის განუხრელად განხორციელებას.

# საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის განხილვა სენატში

პარიზი, 3 მარტი. სენატის საგარეო საქმეთა კომისია გუშინ კვლავ შეუდგა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის განხილვას. კომისიის თავმჯდომარემ ანრი ბერანჟემ კომისიას გააცნო ის დიპლომატიური დოკუმენტები, რომლებიც ხელშეკრულების ხელმოწერას ეხება. შემდეგ ბერანჟემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულება, მისი ხასიათის მიხედვით, შეიძლება ან მთლიანად იქნას მიღებული ან მთლიანად უარყოფილი, ვინაიდან მასში რაიმე შესწორებათა შეტანა შეუძლებელია. კომისია დაეთანხმა ამ თვალსაზრისს. შემდეგ გამართა კამათი, რომელშიაც სხვა სენატორებს შორის პაქტის რატიფიკაციას მხარი დაუჭირეს რენუმ, სტეგმა და იზრაელმა. შემდეგ კომისიამ გადასწყვიტა უახლოეს ხანებში მოისმინოს მთავრობის თავმჯდომარის საროს მოხსენება ამ საკითხზე, რათა ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება და გამოიტანოს მოსაზრებანი.

ფიქრობენ, რომ სენატში საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის განხილვა 12 მარტს დაიწყება. სარომ აცნობა ბერანჟეს, რომ იგი თანახმაა ხვალ გამოვიდეს კომისიის წინაშე საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების საკითხზე (ადს).

□

## „ტანი“ ჰიტლერის წინადადების შესახებ

პარიზი, 3 მარტი. დღეს მთელ რიგ ფრანგულ გაზეთებში ერთისა და იმავე დროს გამოქვეყნდა სტატიები ჰიტლერის იმ წინადადების გამო საფრანგეთ - გერმანიის შეთანხმების შესახებ, რომელიც მან წამოაყენა თავის უკანასკნელ ინტერვიუში. „ტანი“ მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ ჰიტლერი პირველად როდი გამოდის ანალოგიური წინადადებით. გაზეთი ეჭვს გამოსთქვამს ჰიტლერის ზრახვათა გულწრფელობის შესახებ.

გაზეთი „ერ ნუველში“ სტატიას ათავსებს დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე პოლ ბასტიდი. იგი აღნიშნავს საფრანგეთ - გერმანიის დაახლოების სასურველობას. მაგრამ ეს მოლაპარაკება მხოლოდ სრული სიცხადის პირობებში შეიძლება წარმოებდეს. „არსებითად, არის ორი ძირითადი საკითხი, რომელიც ჰიტლერს უნდა დაეუყენოთ. პირველი საკითხია: აპირებს თუ არა იგი კვლავ განაახლოს დანარჩენ სახელმწიფოებთან ერთად განიარაღების საქმე. მეორე საკითხი ეხება მის ზრახვებს აღმოსავლეთ ევროპის მიმართ. ჩვენ ძალიან გვსურს შევუთანხმდეთ გერმანიას, ჩვენ მისგან არც მოვითხოვთ სხვა რაიმეს. მაგრამ ჩვენ არ გვსურს ეს შეთანხმება გავახორციელოთ საბჭოთა კავშირის ხარჯზე, მსგავსად იმისა, როგორც სამი წლის წინათ ჩვენ უარვყავით ამგვარი შეთანხმების განხორციელება პოლონეთის ხარჯზე. თუ ორივე ამ საკითხში სიცხადე შეიქმნება, ჩვენ ხალისით შევუდგებით მოლაპარაკებას“. — სწერს ბასტიდი (ადს)

## იაპონიაში მთავრობის კრიზისი გრძელდება

ტოკიო, 3 მარტი. ქალაქში კვლავ სამხედრო წესებია. სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ, 26-29 თებერვლის ამბებთან დაკავშირებით, მუკდენის ბრძოლის წლისთავის ტრადიციული დღესასწაული, რომელიც 10 მარტისათვის იყო დანიშნული, აღარ შედგება.

გაზეთები „ხოჩი“ და „ნიჩი ნიჩი“ მთავრობის კრიზისისადმი და თებერვლის ამბების შედეგად სახელმწიფოში შექმნილი მდგომარეობისადმი მიძღვნილ მოწინავე წერილებში მოუწოდებენ დაჩქარებით მოხდეს „ცხოვრების ნორმალიზაცია“ ახალი კაბინეტის შედგენისა და სამხედრო წესების გაუქმების გზით. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ახალი მთავრობის მთავარი ამოცანა იქნება „არმიის გაწმენდა და იაპონიის პრესტიჟის განმტკიცება როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის გარეთ“. გაზეთები ფიქრობენ, რომ პრემიერის პოსტის დაკავების ყველაზე მეტი შანსი აქვთ ზედა პალატის თავმჯდომარეს პრინც კონოეს, საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ხირანუმას და გენერალ უგაკის. გაზეთ „ასახის“ სიტყვით, სამხედრო ხელისუფალნი ფიქრობენ, რომ „ამ უკანასკნელ დროს გაზეთების მიერ დასახელებული ფიგურები კანდიდატურებად ვერ გამოდგება იმისათვის, რომ განახორციელონ ახლანდელი მდგომარეობის რადიკალურად მოწესრიგების ამოცანა“. (ადს).

◇

## იაპონიის მინისტრთა საბჭოს სხდომა

ტოკიო, 3 მარტი. დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ დღეს შედგა მინისტრთა საბჭოს მორიგი სხდომა, რომელმაც მოისმინა მინისტრ მაჩიდას მოხსენება ფინანსიურ მდგომარეობაზე თებერვლის ამბებთან დაკავშირებით და საგარეო საქმეთა მინისტრ ხიროტას მოხსენება, რომელშიც მან დაწვრილებით გააცნო მინისტრთა საბჭოს უცხოეთის პრესის კომენტარიები თებერვლის ამბების გამო. სააგენტო იუწყება, რომ 4 მარტს შესდგება მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა, რათა გაატაროს საჭირო ფორმალობანი იმ „ფრიად მნიშვნელოვანი კანონპროექტის“ დასამტკიცებლად, რომელიც 2 მარტს წინასწარ განიხილა და მოიწონა საიდუმლო საბჭომ და რომელიც საბოლოოდ დადასტურებულ უნდა იქნას 4 მარტს იმპერატორის დასწრებით. დომეი ცუსინი აღნიშნავს, რომ კანონის შინაარსს, „მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო, უაღრესად საიდუმლოდ ინახავენ“.

თავად საიონძისთან გამართულ თათბირთან ერთად, დღეს შესდგა უმაღლესი სამხედრო საბჭოს თათბირი. გარდა ამისა, იმპერატორმა დღეს ცალკე მიიღო სამხედრო მინისტრი კავასიმა, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, სუგიამა და საზღვაო შტაბის უფროსი პრინცი ფუსიმი. მათ, დომეი ცუსინის სიტყვით იმპერატორს მოახსენეს სხვადასხვა საკითხზე, რომლებიც „უმაღლეს სარდლობას“ ეხება. სუგიამა მანამდე მიიღო გენერალური შტაბის უფროსმა პრინცმა კანინმა. (ადს)

◇

## „თეთრი წიგნი“ ინგლისის შეიარაღების შესახებ

ლონდონი, 3 მარტი. დღეს „თეთრი წიგნის“ სახით გამოქვეყნდა ინგლისის შეიარაღების პროგრამა. ახლანდელი მსოფლიო სიტუაციის დროს, —ნათქვამია „თეთრ წიგნში“, —ინგლისს არა აქვს სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ გადასინჯოს თავისი შეიარაღებული ძალების მდგომარეობა და მიიღოს საჭირო ზომები თავისი ქვეყნის დასაცავად აგრესიისაგან, აგრეთვე, მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო ვალდებულებათა დაცვაში სხვა სახელმწიფოებთან საერთო მოქმედების გზით. ის მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება ახლო ხანს წარედგინოს ინგლისის შეიარაღებულ ძალებს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, — აღნიშნულია შემდეგ „თეთრ წიგნში“, — შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას, თუ გვექნება სათანადო სახსრები. ამ სახსრების ოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული უცხოეთის ბევრი სახელმწიფოს შეიარაღების ზრდა, რომელიც გრძელდება.

შემდეგ მოყვანილია ცნობები სხვა ქვეყნების შეიარაღების შესახებ. უცხოეთის სახელმწიფოთა შეიარაღების მიმოხილვა იწყება გერმანიით. გერმანიის შეიარაღება განუხრელად და სწრაფად გრძელდება. გერმანიის ავიაცია განუწყვეტლივ ფართოვდება. უყურადღებოდ არ შეიძლება დატოვებულ იქნას აგრეთვე გერმანიის შეიარაღება ზღვაზე. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში იტალიის არმია მოწყობილია ისე, როგორც ომის დროს, და 1935 წლის ოქტომბერს თოთქმის იყო 1.200 ათასი კაცი, რის შემდეგ იტალიის არმია შეივსო ახალი ძალებით. იაპონიაში არმიისა და ფლოტის 1936-37 წლების ბიუჯეტით ხარჯები უმაგალითოდ დიდი თანხაა.

განზრახულია სახაზო გემების შეცვლისათვის მზადებას შეუდგნენ 1937 წლის დამდეგს, როცა დაიწყება ორი ახალი სახაზო გემის მშენებლობა. კრეისერთა საერთო რაოდენობა გადიდდება 70-მდე. 1936 წლის პროგრამაში შეტანილი იქნება 5 კრეისერის აგება. პატარა გემების მშენებლობა გაგრძელდება ახლანდელი ტემპებით. მალე დაიწყება პატარა ტონაჟის ახალი ავიამზიდის აგება.

შემდეგ „თეთრ წიგნში“ აღნიშნულია, რომ საზღვაო ავიაციის მზარდი მნიშვნელობის გამო საჭირო ხდება ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საჰაერო ძალთა საგრძნობლად გაფართოება. რეგულარული არმიის პირადი შემადგენლობის რაოდენობა, გარდა ქვეითა ჯარის ოთხი ბატალიონისა, არ იქნება გადიდებული, მაგრამ „თეთრ წიგნში“ აღნიშნულია, რომ აუცილებლად საჭიროა ჯარის არსებული ნაწილების სასწრაფოდ და რაც შეიძლება ეფექტიურად მოწყობა, მათი მომარაგება თანამედროვე იარაღებით და ამუნიციის საკმაო მარაგის უზრუნველყოფა.

სამხედრო ავიაციის გაფართოების პროგრამა, მოწონებული შარშან პარლამენტის მიერ, სრულდება გეგმასთან შეფარდებით, მაგრამ ახალი მიღწევები კონსტრუქციის დარგში საშუალებას მოგვცემენ თვალსაჩინოდ გავადიდოთ ავიაციის საბრძოლო ძლიერება. თუ ჩავთვლით ოთხ ახალ დამხმარე ესკადრილიას ტერიტორიულ არმიასთან თანამშრომლობისათვის, ახალი პროგრამა პირველი ხაზის თვითმფრინავთა რაოდენობას გაადიდებს დაახლოებით 1.750 მანქანამდე. მაგრამ პირველი ხარისხის თვითმფრინავთა რაოდენობა, — აღნიშნულია „თეთრ წიგნში“, —თავისთავად არ წარმოადგენს სწორ კრიტერიუმს ავიაციის შედარებითი ძლიერების გამოსარკვევად და ამ შემთხვევაში შეტევითი და თავდაცვითი ძალების გადიდება საგრძნობლად აღემატება მოხსენებულ რაოდენობრივ გადიდებას.

ღებულობენ სათანადო ზომებს იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში შექმნან ადამიანთა და მატერიალური რეზერვები.

„თეთრი წიგნი“ იმეორებს პრემიერ ბოლდუინის 27 თებერვლის განცხადებას, რომ დანიშნული იქნება მინისტრი, რომელსაც პრემიერი გადასცემს თავის ზოგიერთ მოვალეობას, როგორც იმპერიის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. (ადს).

◇ ◇ ◇

## საგაფიცვო მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში

ნიუ-იორკი, 2 მარტი ნიუ-იორკის ლიფტიორებისა და სახლის სხვა მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა ფართოვდება. პროფკავშირის ხელმძღვანელთა განცხადებით, 2 ათასზე მეტ სახლში უკვე გაფიცულია 25 ათასი მუშა. 45 ათასმა სხვა გაფიცულმა მუშებმა დღეს შესწყვიტეს სახლების მომსახურება. ამ სახლებს შორის არის „იმპაირ სტეიტ ბილდინგი“ (მსოფლიოში უმაღლესი ცათამბჯენი, რომელსაც აქვს 102 სართული) და ბევრი სხვა ცათამბჯენი უოლ სტრიტში და სხვა საბანკო რაიონებში. იმ სახლებში, სადაც ლიფტიორები გაფიცული არიან, არა თუ უმოქმედობენ ლიფტები, არამედ შეწყდა აგრეთვე ცხელი წყლის მიწოდებაც. მდგმურები გაუთბობელ ბინებში სხედან. იმ სისწრაფემ, რომლითაც ლიფტიორთა გაფიცვა ვრცელდება, აიძულა ბევრი მეწარმე დაეთანხმებულიყო კონფლიქტის საარბიტრაჟო განხილვას და გაფიცულთა მთელ რიგ მოთხოვნებს. (ადს).

## ჰიტლერის თათბირი არმიისა და ფლოტის ხელმძღვანელებთან

ლონდონი, 3 მარტი. როგორც ინგლისური გაზეთების ბერლინელი კორესპონდენტები იუწყებიან, გუშინ ჰიტლერი რამდენიმე საათს ეთათბირა არმიისა და ფლოტის ხელმძღვანელებს. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ფონ-ბლომბერგმა, გერინგმა, ფონ-ფრიტჩმა, ადმირალმა რედერმა, აგრეთვე რიბენტროპმა და გებელსმა. გერმანიის პრესა თათბირის შესახებ არაფერს სწერს. როიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობებით, თათბირმა განიხილა წინადადება ინგლის-გერმანიის დამატებითი საზღვაო შეთანხმების დადების შესახებ. მაგრამ სხვა კორესპონდენტების აზრით, თათბირის საკითხებს გაცილებით უფრო ფართო წყებას შეეხო. „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტის სიტყვით, თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გერმანიის პოზიციის შესახებ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების, ლოკარნოს ხელშეკრულებისა და რეინის დემილიტარიზებული ზონის მიმართ (ადს).

□

## მღელვარება გერმანიის ფაშისტური პარტიის ქვედაფენებში

ბერლინი, 3 მარტი. ბოლო დროს უცხოელ ჟურნალისტთა წრეებში გავრცელებული იყო სხვადასხვა ხმა გერმანიის ფაშისტურ პარტიის მოღვაწეთა ახალ დაპატიმრებებზე, ამ პარტიის ქვედაფენებში მზარდ უკმაყოფილებასთან დაკავშირებით. მთელი რიგი ნიშნები მოწმობენ, რომ, მართლაც, გერმანიის ფაშისტური პარტიის ქვედაფენებში რაღაცა მღელვარება ხდება. ამის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო დამადასტურებელი საბუთია ფაშისტური პარტიისა და მისი აგიტატორების მიერ უეცრად დაწყებული კამპანია უკმაყოფილო და „რევოლუციური“ ელემენტების „გამოსააშკარავებლად“ ფაშისტური პარტიის ორგანიზაციათა შიგნით. ყურადღების ღირსია შინაგან საქმეთა მინისტრის დღეს გამოქვეყნებული ცირკულარიც, რომ გერმანიის ფაშისტური პარტიის შემადგენლობიდან გასული ყველა მოხელე დათხოვნილი იქნება სახელმწიფო სამსახურიდან, რადგან „ამით ისინი გვიჩვენებენ, რომ არ ეთანხმებიან ნაციონალ - სოციალისტური პარტიის პროგრამას ან პოლიტიკას“. ამ ცირკულარიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გერმანიის ფაშისტური პარტიიდან გასვლის შემთხვევები უკვე არ წარმოადგენენ გამონაკლისს (ადს)

□

## რუმინეთის არმიის რეორგანიზაცია

ვენა, 3 მარტი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, უკანასკნელ დღეებში რუმინეთის მთავრობა შეუდგა რუმინეთის არმიის შეიარაღებისა და რეორგანიზაციის დიდი გეგმის განხორციელებას. პრემიერ ტატარესკუს თავმჯდომარეობით გამართა რამდენიმე თათბირი არმიისა და რუმინეთის მძიმე მრეწველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ თათბირების შედეგად სამხედრო ქარხნებს დიდი დაკვეთები მისცეს. პრესის ცნობებით „კოპშა — მიკა — კუერის“ ქარხნებს (სემიგრადიეში) მიეცათ დიდი შეკვეთა ახალი ნიმუშის ტყვიამფრქვევთა დასამზადებლად. რეშიცის (სემიგრადიეში) სამხედრო ქარხნებს მიეცათ დაკვეთა დაამზადონ სულ 1 მილიარდი 100 მილიონი ლეის საზენიტო ზარბაზნები. მთელი რიგი დიდი დაკვეთანი მიეცათ რუმინეთის სხვა ქარხნებს, აგრეთვე საფრანგეთის სამხედრო მრეწველობას. მთავრობამ გადასწყვიტა შეუდგეს მთელი რიგი სამხედრო საწარმოებისა და არსენალების აგებას სემიგრადიეში. (ადს)

## გრძელვადიანი კრედიტები კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს

საკავშირო სახკომსაბჭომ დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო ბანკის 1936 წლის გეგმა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების დაკრედიტების შესახებ და ამ გეგმის მიხედვით მიიღო სპეციალური დადგენილება.

გეგმით 1936 წლისათვის კრედიტების საერთო რაოდენობა უდრის 712,5 მილიონ მანეთს, 1935 წელს კი გაცემული იყო 514,5 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო სესხი.

საკავშირო სახკომსაბჭომ დაავალა სასოფლო-სამეურნეო ბანკს 1936 წლის კრედიტის გაცემის გეგმის შესრულებისას გაამახვილოს განსაკუთრებული ყურადღება დაკრედიტების იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უზრუნველჰყოფენ: საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობის გადიდებას; საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულებას; კოლმეურნეობების მიერ ტექნიკური და სპეციალური კულტურების განვითარების ვალდებულებათა განაღდებას; კოლმეურნეების უძროხობის ძირითადად ლიკვიდაციის მოხდენას.

გადიდებულია კრედიტები კავშირის ცალკე რესპუბლიკებისათვის. მაგალითად, 1935 წელთან შედარებით ამიერ-კავკასიის სფსრ-ს კრედიტი გადიდდა 41 პროცენტით, თურქმენეთს—53,9 პროც. და ა. შ.

საკავშირო სახკომსაბჭომ დაავალა სასოფლო-სამეურნეო ბანკს—1936 წელს კრედიტები მისცეს მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებს რაიონებსა და ცალკე კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების გეგმის დამტკიცებასთან შეფარდებით. უნდა მოხდეს კრედიტის ხვედრითი წონის დიფერენციაცია ცალკე კოლმეურნეობებში დაბანდებათა ღირებულების და კოლმეურნეობათა ფინანსური ძლიერების მიხედვით.

ჩაისა და ტექნიკურ კულტურებისათვის კრედიტების გაცემის დროს საქ. სახკომსაბჭოს წინადადებით სას.-სამ. ბანკმა უნდა მოახდინოს მთავრობის დადგენილებით მიღებული დაკრედიტების ნორმის დიფერენციაცია ცალკე კოლმეურნეობების ფინანსური ძლიერებისა და ახალი პლანტაციების გასაშენებლად გაწეული ხარჯების მიხედვით.

კოლმეურნეობების მიერ მინერალური სასუქის შესყიდვისათვის დაკრედიტების დროს სას.-სამ. ბანკმა კრედიტები უნდა გასცეს ბამბისათვის, მისი ღირებულების 40-დან 50 პროცენტამდე, ხოლო ჭარხლისათვის შეძენილი სასუქის ღირებულების 60-დან 70 პროცენტი.

## მოძრავი კინო

წალენჯიხა, 4 მარტი. (ხაკ. კორ.) 3 მარტს ქუთაისიდან წალენჯიხაში ჩამოვიდა ავტომანქანა ხმოვანი კინოაპარატით. რაიონის კოლმეურნეობებში უჩვენებენ კინოფილმს—„უკანასკნელი ჯვაროსნები“. მოძრავი კინო წალენჯიხიდან პირველად გაიგზავნა ჯგალში.

ფოტო ი. ტორის

ნაფარეულის (თელავის რაიონი) მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას აქვს სანიმუშო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სურათზე: მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი თავისუფალ დროს სამკითხველოში კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს.

▽ ▽ ▽ ▽ ▽

## ორდენოსნები თელავში

### (ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

2 მარტს, დილის 7 საათზე თელავის სადგურზე თავი მოიყარეს კოლმეურნეებმა, რიცხვით 1000 კაცზე მეტმა, დროშებით, პლაკატებით და ლოზუნგებით. აქვე არიან ქ. თელავის მუშა-მოსამსახურენი, მოწაფეები და მასწავლებლები. აქ არიან საქ. კ.პ.(ბ) თელავის რაიკომის მდივანი ამხ. არ. ბიორბაძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ნაცვლიშვილი და რაიონის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

გამოჩნდა მატარებელი. იგი ნელა უახლოვდება სადგურს. კოლონებად ჩამწკრივდნენ კოლმეურნეები, უკრავს მუსიკა. ჩამოდგა მატარებელი, ყველა მოუთმენლად ელის — დაინახონ რაიონის სახალხო ადამიანები, რაიონის პირველი ორდენოსნები.

○

ფოტო ი. ტორის

თელავის სადგურზე ვაგონიდან გამოდიან ლენინის ორდენებით დაჯილდოვებულნი — ამხ. ლალაზიძე და ბორძიკიძე.

○

და, აი გამოჩნდა ამხ. კოტე ლალაზიძე თავის თანამებრძოლ ამხ. ბორძიკიძესთან ერთად. მათ მკერდს ამშვენებს ლენინის ორდენი. მქუხარე ტაში და „ვაშას“ ძახილი ეგებება ორივეს.

ახლადდაბრუნებულთა მიტინგს ხსნის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ნაცვლიშვილი.

ტრიბუნაზე ადის ორდენოსანი ამხ. ლალაზიძე. იგი ღელავს, მაგრამ მაინც ამბობს სიტყვას:

— საიდან დავიწყო არ ვიცი... თითქოს ახლად დავიბადე. ვნახე ჩვენი ბელადები, ვნახე ის, ვინც მოგვიტანა ბედნიერი და საამური ცხოვრება... ჩვენ ახლა ბევრი რამ გვაკისრია. მეცხოველეობის საქმე უფრო წინ უნდა წავწიოთ, ყველამ უნდა ვიბრძოლოთ ამ საქმისათვის..

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს დიდ სტალინს!... მქუხარე ტაში და „ვაშას“ ძახილი ფარავს ორდენოსან ლალაზიძის სიტყვას.

ტრიბუნაზე ადის ამხ. ბორძიკიძე.

— რა ვიყავი წინათ, — ამბობს ამხ. ბორძიკიძე, — მოჯამაგირეობაში გაზრდილი, ტანჯული. მაგრამ ახლა მე საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტურმა პარტიამ, დიდი სტალინის მზრუნველობამ აღმზარდა, კოლმეურნეობამ დამაფუძა და იმის ღირსი გამხადა, რომ წავსულიყავი საბჭოეთის დედაქალაქ მოსკოვში და იქ შევხვედროდი ჩვენს ბელადებს, ჩვენს საყვარელ დიდ სტალინს.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ შილდის კოლმეურნეობის ღვინის საუკეთესო ბრიგადირი ამხ. ჯოხაძე, კურდღელაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კველიშვილი, ქვემო-ხოდაშნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ალ. ისიტაშვილი და საქ. კ.პ.(ბ) თელავის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ბიორბაძე.

ქალაქში ახვლის და ერთი საათის შესვენების შემდეგ, თელავის სახელმწიფო თეატრში რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. ნაცვლიშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა მეცხოველეობის სტახანოველთა საგანგებოდ მოწვეული სარაიონო თათბირი.

თათბირზე თავიანთი მუშაობის მეთოდების და მოსკოვში მეცხოველეობის მოწინავეთა საკავშირო თათბირზე მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ გამოვიდნენ ორდენოსნები კოტე ლალაზიძე და ანდრო ბორძიკიძე.

მათი გამოსვლა, თვითეული მათი სიტყვა იყო ნამდვილი მოწოდება ყოველი კოლმეურნის — მწყემსის, ბრიგადირის და სპეციალისტის მიმართ, — გაშალონ ნამდვილი სტახანოვური მუშაობა იმ ვალდებულებათა ბოლშევიკურად განაღდებლად, რომლებიც აღებული აქვს თელავის რაიონს პარტიისა და ხელისუფლების წინაშე.

— ჩვენც, ჩვენის მხრივ — ამბობს თათბირზე ამხ. ლალაზიძე, — პირობას ვაძლევთ ამხ. ლავრენტი ბერიას, რომ არ შევრცხვებით მასთან, არ შევარცხვენთ ორდენოსან საქართველოს.

ორდენოსანთა ჩამოსვლა [illegible] რაიონის მშრომელთა ზეიმად გადაიქცა. ადგილებიდან მიღებულია ცნობები, რომ კოლმეურნენი კისრულობენ ახალ-ახალ ვალდებულებებს ნახირის გაზრდის, პროდუქტიულობის გადიდების, მუშაობაში ლალაზიძისებური და ბორძიკიძისებური მეთოდის დანერგვის და მიღწეულ წარმატებათა განმტკიცების შესახებ.

არ. კოკილაშვილი.

◇ ◇ ◇

## სოციალისტური შრომის ოსტატთა კურსები

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გაშალა მუშაობა სტახანოველთა სწავლების ორგანიზაციისათვის. სტახანოველთა საერთო განათლების დონისა და ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ყველა დარგის მრეწველობაში ოთხწლედის და შვიდ წლედის განათლების მქონე სტახანოველთათვის ეწყობა სოციალისტური შრომის ოსტატთა ორწლიანი კურსები. ამ კურსებზე სტახანოველები შეისწავლიან მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, ისტორიას, გეოგრაფიას, დედა-ენას და სპეციალურ ტექნოლოგიას.

კურსების პროგრამა უკვე შემუშავებულია. მიმდინარეობს მუშაკების, პედაგოგებისა და სასწავლო ნივთების გამოყოფა. კურსები შეიქმნება 103 ობიექტში. კურსებზე ისწავლის 1611 კაცი. მეცადინეობა აპრილიდან დაიწყება.

წერა-კითხვის მცოდნე სტახანოველთათვის გაიხსნება მოსამზადებელი ჯგუფები ამ კურსებზე მისაღებად.

## ციტრუსების მოწინავეთა დაჯილდოება

### მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ბრძანება

სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის და გამოყენების შედეგად ციტრუსების კრეფაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის მიეცეს ჯილდოები:

I. სტახანოველი კოლმეურნე მკრეფავების და კოლმეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკთა დასაჯილდოებლად:

**აჭარისტანს:** ბათომის და ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებისათვის პირველი ჯილდო—3.000 მანეთის რაოდენობით.

**მახარაძის რაიონს**—მეორე ჯილდო — 2.500 მანეთის რაოდენობით.

**ლანჩხუთის რაიონს**—მესამე ჯილდო — 2.000 მანეთის რაოდენობით.

**ზუგდიდის რაიონს** — მეოთხე ჯილდო — 1.500 მანეთის რაოდენობით.

II. საბჭოთა მეურნეობის სტახანოველ მკრეფავების დასაჯილდოებლად:

**ჩაქვის და ხალიბაურის საბჭოთა მეურნეობას**—პირველი ჯილდო 2.500 მანეთის რაოდენობით (თითეულს 1.250 მან).

**აჭარისტანის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის პირველ მეურნეობას** — მეორე ჯილდო—2.000 მანეთის რაოდენობით.

**[illegible] საბჭოთა მეურნეობებს**—[illegible] ჯილდო—2.000 მანეთის რაოდენობით (თითეულს 1.000 მან.).

**აფხაზეთის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეურნეობებს** „ილიჩი“-ს და ნ. ლაკობას სახელობის (გუმრა)—მესამე ჯილდო—1.000 მანეთი (თითეულს 500 მან.).

III. კოლმეურნეობებისათვის ჯილდოები გაცემულ იქნეს საამისოდ საკავშირო მიწსახკომიდან მიღებული 9.000 მანეთით. ხოლო საბჭოთა მეურნეობებისათვის ჯილდოები გაცემული იქნეს სათანადო ტრესტების საპრემიო ფონდიდან.

IV. დაევალოს აღნიშნულ რაიონების მიწგანის გამგეებს, მტს-ს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს—წარმოუდგინონ საქ. მიწსახკომის სუბტროპიკულ კულტურათა სამმართველოს იმ მუშაკთა გვარები და სახელი დახასიათებით და ფოტო-სურათებით, რომლებზედაც გაცემული იქნება აღნიშნული ჯილდო.

საქმიწსახკომი—
შ. მათიკაშვილი.

ქ. ტფილისი, 1936 წ. 3 მარტი.

◇ ◇ ◇

## ტფილისის კვების მრეწველობა 1936 წელს

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოს განკარგულებაში არსებული კვების მრეწველობის საწარმოთა სამრეწველო-საფინანსო გეგმა.

მიმდინარე წელს მაკარონის ახალი ფაბრიკა გამოუშვებს 600 ტონა სხვადასხვა მაკარონის ნაწარმს. საკონდიტრო ფაბრიკა № 1 გამოუშვებს 400 ტონა საკონდიტრო საქონელს, ფაბრიკა № 2—356 ტონას. ლუდის ქარხნები № 1 და 2 წლის განმავლობაში გამოუშვებენ 22 ათას ჰექტოლიტრ ლუდს. უალკოჰოლო სასმელების ქარხანა გამოუშვებს 54.700 ჰექტოლიტრ სხვადასხვა წყლებს, მათ შორის 40 ათას ჰექტოლიტრს ხილფალის და 6000 ჰექტოლიტრ გაზირებულ წყალს. გამოშვებული იქნება 2.700 ჰექტოლიტრი სიროფი და 6.000 ჰექტოლიტრი ბურახი. ნახშირმჟავა გაზის ქარხანამ უნდა გამოუშვას 540 ტონა პროდუქცია, მათ შორის 40 ტონა მშრალი ყინული.

კვების მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ტფ. საბჭომ განსაზღვრა 2.369.000 მანეთით. აღნიშნული თანხიდან ლუდის ახალი ქარხნის მშენებლობაზე დაიხარჯება 823.000 მანეთი, უალკოჰოლო სასმელების ახალი ქარხნის მშენებლობაზე—545.000 მანეთი, № 1 საკონდიტრო ფაბრიკის რეკონსტრუქციაზე—267.000 მანეთი და № 2 ლუდის ქარხნის რეკონსტრუქციაზე—133.000 მანეთი.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა განსაკუთრებით აღნიშნა ადგილობრივი ფაბრიკების საკონდიტრო ნაწარმის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი და წინადადება მისცა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას ერთი თვის ვადაში გადასინჯოს არსებული სტრუქტურა მისი გადაჭრით გაუმჯობესებისათვის და შემოიღოს საკონდიტრო ნაწარმის ახალი სახეები.

◇ ◇ ◇

## მონადირეთა შეჯიბრება

6 მარტს მონადირეთა კავშირის სტენდზე, რომელიც ტფილისის ჰიპოდრომზეა მოთავსებული, გაიმართება მონადირეთა შეჯიბრება გასროლით „თეფშებისათვის“ მოხვედრებაზე. ასეთი შეჯიბრება, რომელმაც სროლის ოსტატები უნდა გამოავლინოს, წელს პირველად იმართება.

ოსტატის სახელის მისაღებად მონადირემ 45 შესაძლებლიდან უნდა გასტეხოს 41 თეფში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ამიერ-კავკასიის საუკეთესო მსროლელები, აგრეთვე ა. კავკასიის ფალავანი ამხ. ჯობავა.

ამ შეჯიბრების [illegible] რეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებაში მოყვარულთა ჯილდოზე. შეჯიბრებაში მონაწილეთ საკმაო რაოდენობით მიეცემათ საფანტი, დენთი და წითელი ფისტონები.

◇ ◇ ◇

## ხელოვნება

### მოსკოვის დრამატურგები სთარგმნიან ქართულ პიესებს

ქართველ დრამატურგთა პიესების რუსულ ენაზე გადათარგმნისათვის მოსკოვში ჩამოყალიბდა მთარგმნელთა ჯგუფი. ჯგუფში შედიან მწერალი-დრამატურგები: კირშონი, აფინოგენოვი, ბილ-ბელოცერკოვსკი, როგოზინი, ამალრიკი, ფინი და სხვ.

ჯგუფის წევრები გადასთარგმნიან და თავიანთი რედაქციით გამოუშვებენ მიმდინარე წლის პირველი ნახევრისათვის 6 პიესას: ვ. კაკაბაძის—„ყვარყვარე თუთაბერი“, ს. შანშიაშვილის—„არსენა“, შ. დადიანის ერთ-ერთი პიესას, ს. მთვარაძის—„სტრამის ცოხვა“, ვ. ბაზოვის—„მუნდები მოლაპარაკედ“ და ვ. სამსონიძის—„სოლეტი“.

თითეული პიესა დაიბეჭდება 5 ათასი ცალი ტირაჟით.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატურგთა სექციის თავმჯდომარემ ამხ. შ. დადიანმა მოსკოვში დაიდო შეთანხმება თარგმნილი პიესების დადგმის შესახებ. ერთი მათგანი უკვე მიმდინარე წელს დაიდგმება მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში.

დედაქალაქის თეატრების, მათი დადგმების და შემოქმედებითი მუშაობის მეთოდების გასაცნობად საქ. მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექცია მოსკოვში გზავნის 9 ახალგაზრდა ქართველ დრამატურგს.

## შემთხვევები

# მძარცველთა დაპატიმრება. მიმდინარე წლის 10 იანვარს საღამოს მოქ. მარკოზ შამი-ოღლის ბინაში (აზიზბეკოვის ქ. № 26) შევიდნენ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი უცნობი პირები, რომლებმაც თავი დაისახელეს შინსახკომის თანამშრომლებად და მოსთხოვეს მარკოზ შამი-ოღლის მიეცა ძვირფასი ნივთები და ოქრო. შამი-ოღლიმ მას განუცხადა, არავითარი ოქრო არა მაქვსო. მაშინ უცნობებმა, თუმცა ორდერი არ ჰქონდათ, მოახდინეს ჩხრეკა, წაიღეს მთელი რიგი სოფლის ნივთები და მიიმალნენ. 15 თებერვალს ანალოგიური გაძარცვა მოხდა მოქ. ტ. ა. არუთინოვის ბინაზე (გელოვანის ქ. 7). აქედანაც დიდძალი ძვირფასი ნივთები წაიღეს მძარცველებმა. შინსახკომის მიერ მიღებული ზომების შედეგად მილიციის მეორე განყოფილებამ გამოარკვია, რომ ორივე ძარცვა ერთიდაიმავე პირების მიერ მოხდა. 1 მარტს მძარცველები შეიპყრეს. ერთი მათგანი აღმოჩნდა ტ. გ. ხუჯაძე (დავითაშვილის ქ. 8), ხოლო მეორე—რკინიგზის მუშაკი ა. ა. ვანიშვილი (სტეფანოვის ქ. 18). გამოძიება გრძელდება.

ავტომობილის ავარია. მანგლისის გზატკეცილზე სატვირთო ავტომანქანა № 20—04, რომელსაც მართავდა შოფერი ეპრონიძე, გადაჭარბებული სისწრაფით სვლის გამო მოსახვევზე ხრამში გადავარდა. შოფერი და ერთი მგზავრი მძიმედ დაშავდნენ. მანქანა დაიმსხვრა. [illegible] პასუხისგებაში აძლევენ.

◇ ◇ ◇

## ქრონიკა

— საბინაო სექციის პლენუმი. ტფილისის საბჭოს საბინაო სექციის პლენუმი 6 მარტის ნაცვლად შესდგება 5 მარტს საღამოს 7 საათზე ტფილისის საბჭოს წითელ დარბაზში.

— განათლების მუშაკთა სახლის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრეში 6 მარტს, საღ. 7 ს. დოც. ვ. [illegible] წაიკითხავს ლექციას თემაზე: „სტროფიკის შესახებ“.

რუსთაველის თეატრი 1935—36 წ. სეზონი

5 მარტს ღია წარმოდგენა
შემოდგომის აზნაურები
21 თებერვლის მუდმივი ბილეთები გამოდგება 5 მარტს.

6 მარტს ღია წარმოდგენა
შემოდგომის აზნაურები
22 თებერვლის მუდმივი ბილეთები გამოდგება 6 მარტს.

26 თებერვლიდან დაიწყება მუდმივი ადგილების ბილეთები თეატრის ბუხჰალტერიაში დილის 10 საათიდან 4 საათამდე. წარმოება-დაწესებულების წარმომადგენლებმა უნდა იქონიონ სათანადო მინდობილობის ბარათი.
სალარო ღიაა 11-2 6-9 საათამდე. დასაწყისი 7-ნახ. საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

5 მარტს წარმოდ. № 103 — შამილი
6 მარტს წარმოდ. № 104 — ჩატეხილი ხიდი

ბილეთები თეატრის სალაროში 11—2 6—9 ს.
ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან. დასაწყისი 7 ს. 30 წ.

სახკინმრეწვის თეატრები

| | |
|---|---|
| ოქტომბერი<br>6-30, 8, 9-30, 11 | ახალი ხმოვანი ფილმი<br>„დობილები“ |
| დამკვრელი<br>6-30, 8, 9-30, 11 | მხატვრული კომედია<br>„ბურთი და გული“ |
| რ. ლიუქსემბურგის სახ.<br>6, 7-40, 9-20, 11 | ხმოვანი ამერიკ. ფილმი<br>„უჩინარი ადამიანი“ |
| „ზდ“-ის კომუნ. სახ.<br>6-30, 8-30, 10-30 | ხმოვანი ფილმი<br>„პეპო“ |
| ქრონიკის თეატრი<br>ახალი ამბები | ნმ. ჟურ. 1) მე-3 გამოშვება „აბისინიის ამბები“<br>2) მუშურ-გლეხური, 3) ჟურნალი № 3—1936 წ. |

დამწუხრებული ძმები: გრიგოლ, შალვა ცილოშვილით, ვალოდია, დები: თამარ, ცაცუნია, მარუსია, ელენე, მათიკო ქმარშვილით იუწყებიან, რომ 6 მარტს 4 ნახ. ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი **ბიძინა ხალაძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 13145

ილიანე, გრიგოლ, კოტე იოანეს-ძე ჰკვასელები თავიანთი ოჯახის წევრებით მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ძმის **ნიკოლოზ არსენისძე ქორიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარი ბინიდან პარკოვის, 8. 5 მარტს, 4 ნახ. ს. 13134

დამწუხრებული დები: მიქელიშვილი, კორინთელი, კობიძე, სიძეები: კორინთელი, კობიძე, დისწული და მიქელიშვილი, იუწყებიან რომ 6 მარტს 4 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი **შალიკო ზურაბისძე თუხარელის** ხსოვნის აღსანიშნავად. 13142

ტფილისის ფინგანის თანამშრომლები: ფარნიევი, ვართანოვი, ხარებავა, კაჭკაჭიშვილი, მანელოვა, კორველაძე, აკოფოვი, მაჭავარიანი, ზაბახი, მშალობლიშვილი, ლალიძე, იუწყებიან ფინგანის გამგის [illegible] დედის **ნაზიკო ეზირიას** გარდაცვალებას. 13136

ქმარი სიმონ, დედამთილი ვარვარა ლალიძეები, დედა ვარვარა ყიფიანი იუწყებიან **ანნა ყიფიანი—ლალიძის** უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 12 ს. ტაბიძის, 22. დაკრძალვა 6 მარტს ს. ხონში. 13144

მეუღლე ნადეჟდა, შვილები: ლეონიდე, გივი ცილოშვილით, და [illegible] იუწყებიან მეგობრებს და ნაცნობებს **გიორგი მიხეილისძე ზარდაბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ხონში. 13140

ექიმი ვახტანგ პლატონისძე ტბილიძე მეუღლით იუწყებს საზოგადოებას ძვირფასი მეგობრის და ამხანაგის **ექიმ სერაფიონ შარაბიძის** უდროოდ გარდაცვალებას. 13117

ტფილისის მე-36 სრული საშუალო სკოლის დირექცია და პედაგოგები მწუხარებით გამოსთქვამენ ამავე სკოლის დირექტორის მოადგილის ამხ. ანდრო შუბლაძის დედის **ალათის** გარდაცვალების გამო. 13137

დამწუხრებულნი: მამა ზარვან, დედა თებრო, ძმა ბიქტორ, რძალი ცოცო ზაქარაიები, ჰეკო დაბელია მწუხარებით იუწყებიან მათივის ძვირფასი **დუნია ზაქარაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 მარტს სოფ. ნავენახევში. 13153

ძმობილები: ფარნა, კატო, ძმები: ბაძინა, ტოგო, დები: შურა, დაფარი, ფელია, სიძეები: ყურაშვილი, იასონ გუგუშვილი, პეტრე ნადარეიშვილი მწუხარებით იუწყებიან **ალექსანდრე ცომაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 მარტს აბაშაში. 13146

შვილი ნადია, სიძე გრიშა, შვილიშვილი ლიანა თოფურიძეები იუწყებიან დაუვიწყარი მამის **მელიტონ დუტუს ძე ფარულავას** დაკარგვას. დაკრძალვა ქ. ახალ-სენაკში 7 მარტს, მთისკალთის ქ. № 36. 13149

შვილები გიგო, მიტა, გუგა, ვახტანგი, რძლები თამარა, ვლიკო, თამარი ზანდუკლები იუწყებიან **ოლღა ზანდუკელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 7 საათზე. გამოსვენება 6 მარტს 2 საათზე, უნივერსიტეტის 10-დან

სტამბა „კომუნისტი“. კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული გ. 8533